



გაზეთი გაეოღის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამტრედიის

N30 (9281)

31 ნოემბერი. 2018 წელი

ფასი 50 თეთრი

ქართული ოცნების პრესტიჟის არჩევნები

ძველ ქოთმაში თუ ქოთმა ძველში



მღელვანა დღის რეჟისორი **3**

ვაგობო იმას, რაც იყო!

შედეგი არ ყოფილა მოულოდნელი

2

საკრედიტო კანდიდატს
პლუს კიდევ
ერთი არჩევანი

საინფორმაციო
შესვლრა
მედიისათვის

აგერიკელაი ენაუი თავს მასპინძელად მძნოგან **7**

8 წიგნი გაქლავს იარაღად ფიქრის უნარს, როგლითაც უან იგავ ყველა ბრძოლას!

6

ახუ ეხოვნელი ხელსუფლების და
ახუ მისი დამხოზის შემდეგ ახ
გადამიდგამს ნაბიჭი, ხომლისაც
შეიძლება შემხცხვეს!

„სამტრედიის მაცნე“ 88 წლისაა

ვაბობ იმას, რაც იყო! უძებნი არ ყოფილა მოულოდნელი

თბა გავსაზრდო

ჯერ ისევ ჩაუმცხრალ საარჩევნო ემოციებს რამდენიმე დღის წინანდელი პროცესების გახსენებით დავიწყებთ. 28 ოქტომბერს 22-ე უბანზე, ეწერში, საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია მუნიციპალიტეტის მერმა და "ქართული ოცნების" თავმჯდომარემ სამტრედიამ, ვალერიაზე ფოცხვერიამ დააფიქსირა. საარჩევნო კაბინიდან გამოსულმა იხუმრა, საიდუმლოდ ვინახავ, ხმა ვის მივუცეო. შურნალისტებთან კი განაცხადა: "ხმა საქართველოს მომავალ პრეზიდენტს მივუცეო, ეჭვი მაქვს, ქალი იქნება! ამის თქმის საბაბს საზოგადოების განწყობა მაძლევს. სასწაულები არ მოხდება, მაგრამ მჯერა, ქვეყანა ევროპისკენ უფრო მძლავრი ნაბიჯებით წავა."

იმ დღისთვისაც და ჩვენთვის, ყოფილი "წინსვლისთვისაც" სიმბოლური იყო საარჩევნო უბანი წინსვლის ქუჩაზე. მე-7 საჯარო სკოლის შენობა და მასში განთავსებული მე-9 უბანი სწორედ წინსვლის ქუჩაზე მდებარეობს. აქ დააფიქსირა საკუთარი არჩევანი საერებულში უმცირესობის ლიდერმა და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ ემზარ შუბლაძემ. ისევე როგორც მმართველი პარტიის, ქვეყნის მთავარი ოპოზიციური ძალის წარმომადგენელმაც განაცხადა, "ხმა ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას მივუცეო. და კიდევ ადამიანს, ვინც ყოველთვის ზრუნავდა ქვეყნის საგარეო და სპინაო იმიჯზე, მის ნათელ მომავალზე."

ეწერში 22-ე უბანზე რეგისტრირებული 1099 ამომრჩევლიდან საკუთარი პოზიცია 555 ამომრჩეველმა გამოხატა.

მე-9 საარჩევნო უბანზე კი რეგისტრირებული 1116-დან 533-მა ამომრჩეველმა მისცა ხმა. ხმების დათვლის შედეგად ცნობილი გახდა, რომ მმართველი "ქართული ოცნების" მხარდაჭერილმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა, მე-9 უბანზე 158, ხოლო გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ 245 ხმა მიიღო. 22-უბანზე კი ხმათა უმრავლესობა, 223 ხმა სალომე ზურაბიშვილს, 206 კი გრიგოლ ვაშაძეს ერგო. ესენი გახლავთ კანდიდატები, რომლებიც მეორე ტურში შემორჩნენ საარჩევნო მარათონს.

იმ შედეგების ფონზე, არჩევნების შემდეგ რომ დაიბოლო, სამტრედიამ ამ ორი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლის რიტორიკა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შეიცვალა. თავდაჯერება. სახელისუფლებო პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარემ რამდენიმე შეარბილა. არჩევნების დღიდან მის ტონს მოჭარბებული რიხი ნაარჩევნებს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარის, ემზარ შუბლაძის, ტონალობაში სჭარბობდა: "მოსახლეობის, ამომრჩევლის განწყობებიდან გამომდინარე თითქოს არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი ამგვარი არჩევანი. ქართველ ხალხს არ უნდა მის ქვეყნას ჰყავდეს მოლაღატე პრეზიდენტი. ის განცხადებები, რაც სახელისუფლებო თუ ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა გააკეთა, მინიმუმ, დალატის ტოლფასია. ჩვენ კარდაკარ დავდიოდით მოსახლეობასთან და ვუხსნიდით, რომ ეს ბოლო შანსი იყო. ქვეყანა გადაგვრჩინა. მეორე ტური წინაა, მაგრამ ვფიქრობ, ეს იქნება შანსი საბოლოოდ დაეამთავროთ "ქართული ოცნება" და ივანიშვილის რეჟიმი საქართველოში. არც ერთ ხმას არ დაუკარგავთ და ვფიქრობ, სამტრედიამ 70% შედეგს დავლებთ!"

მმართველი პარტიის თავმჯდომარე და მუნიციპალიტეტის მერი ვალერია ფოცხვერია ხაზს უსვამს, რომ "უპირველესად: "არჩევნებმა დემოკრატიულად ჩააბარა, ყოველგვარი ძალდატანების, დარღვევების, ბიულეტენების ჩაყრის და ვინ მოთვლის, რამდენი უსამართლობის



ობი, ეს იქნება შანსი საბოლოოდ დაეამთავროთ "ქართული ოცნება" და ივანიშვილის რეჟიმი საქართველოში. არც ერთ ხმას არ დაუკარგავთ და ვფიქრობ, სამტრედიამ 70% შედეგს დავლებთ!"

მმართველი პარტიის თავმჯდომარე და მუნიციპალიტეტის მერი ვალერია ფოცხვერია ხაზს უსვამს, რომ "უპირველესად: "არჩევნებმა დემოკრატიულად ჩააბარა, ყოველგვარი ძალდატანების, დარღვევების, ბიულეტენების ჩაყრის და ვინ მოთვლის, რამდენი უსამართლობის

გარეშე, რასაც ადგილი ჰქონდა ხელისუფლებაში ჩვენი პოლიტიკური ძალის მოსვლამდე. ერთი სიტყვით, სახელმწიფო ემსგავსება სახელმწიფოს! რაც შეეხება შედეგს, ვფიქრობდით, რომ პირველივე ტურში დასრულდებოდა ეს პროცესი ჩვენთვის სასურველი შედეგით, მაგრამ, როგორც ვიცით, მეორე ტურის საჭიროება დადგა. წინ მეორე ტურია და შედეგებზე მისი დასრულების მერე ვისაუბრებთ. რაც შეეხება იმას, თუ რამ გამოიწვია ამგვარი შედეგი, ვიპასუხებ

ბი, რომ ალბათ, სოციალურმა ფონმა. მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა არ გაუარესებულა, მაინც ბევრმა გაჭირვებული ადამიანი ქვეყანაში და მოგესვენებთ, სოციალური ფაქტორი განმსაზღვრელია."

პირველივე ტურში ხელისუფლების კანდიდატის გამარჯვებისთვის ხელისშემშლელ უმთავრეს პირობად ვალერია ფოცხვერია მედია დაასახელა. "უპირველესად მასმედია და მისი შავი პიარი გახდა ამის განმსაზღვრელი! მედიამ ანტიპიარი აწარმოა ქალბატონი სალომეს წინააღმდეგ და ამან გამოიწვია ის შედეგი, რაც დაიბოლო!" - დაბეჯითებით განაცხადა მან. ადგილობრივი შურნალისტებისთვის უცხო არ გახლავთ მისგან წარუმატებლობის ფაქტორად მედიის დასახელება. დაპირდით კიდევ, რომ მის ამ არგუმენტს აუცილებლად ხაზგასმით ავნიშნავდით. ჩვენთვის კარგად ნაცნობია, რომ იგი წარუმატებლობაში ყოველთვის შურნალისტებს ადანაშაულებს, წარმატებაში კი არასდროს აღნიშნავს მათ წვლილს. ამ "ბრალდებას" მან უპასუხა: "თქვენ გაიგეთ არასწორად, კი არ ვაბრალებ რამეს მასმედიას, ვაბრალებ იმას, რაც იყო!"

მუნიციპალიტეტის მერისა არ იყოს, ჩვენც ვამბობთ იმას, რაც იყო! ვერ გეტყვით, პიარის რომელ ფერს მიუსადაგებენ ამ წერილს, მაგრამ სულ რაღაც ერთი თვის თავზე ამ ორი ძირითადი პოლიტიკური ძალის პირველ პირებს მუნიციპალიტეტში, კიდევ ერთხელ ექნებათ მამინდელ შედეგებზე მორგებული პათოსით კომენტარის გაკეთების საშუალება, საარჩევნო პროცესის გაგრძელებად და დაბოლოებად.



მღაღრაი ელის ჩაპონსაჟი

ნათია ნახვასიძე

ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების, როცა ქართველმა ხალხმა პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა აირჩიოს. ეს არჩევნები მომავალ საპრეზიდენტო ცვლილებასთან ერთად, უდავლოდ ენებების დეკლარაციას შეემატება ქართველის არჩევნების ისტორიაში. ევტიტოლოების ჯგერზე გაერული ქართული პოლიტიკა თითოეული ხმის კბილით იცავს. ხელისუფლების "ფსიქო-პროექტი" სხვას ამბობს, გაერთიანებული ოპოზიციის "კდისონ რისერჩი" - სხვას. ცეცხლის თეატრალური მონაცემები კი, მეორე ტურის აღბათობას გვაუწყებს. მანამდე, ვიდრე მეორე ტურის საბოლოო შედეგები (და არა ოდენ ევტიტოლო) გამარჯვებულს გამოაქვნიდეს, "სამტრედიის მაცნე" არჩევნების დღის რეპორტაჟს შემოვიტავებთ.

შურნალისტებმა, ტრადიციულად უბნები დაინაწილეთ და 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის რამდენიმე უბანს ვეწვეით როგორც ქალაქში, ისე სოფელში. ეს უბნები კი, ცხადია, პარტიების მრავალფეროვნების კვალობაზე შევარჩიეთ. საარჩევნო შემოვლა მუნიციპალიტეტის მერის, ვალერია ფოცხვერისას მშობლიური სოფლით, ეწერში დავიწყეთ. 22-ე საუბნო კომისიის თავმჯდომარის, ციციო ვერულიშვილის, თქმით, წყნარ, მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა არჩევნები და არავითარ ექსცესს ადგილი არ ჰქონია. სიმშვიდე სუფევდა მესამე საარჩევნო უბანზეც, 1122 ამომრჩეველს უნდა გაეკეთებინა არჩევანი ამ უბანზე და 150-ს ჰქონდა არჩევანი გაკეთებული თერთმეტ საათსა და ოც წუთზე. კომისიის თავმჯდომარის, ვენერა ივანიშვილის თქმით, ხმის მიცემის პროცესი მშვიდ, ნორმალურ გარემოში მიმდინარეობდა. მეთუთმეტე უბანზე კომისიის თავმჯდომარემ გვითხრა,

12 საათზე 205 ადამიანს არჩევანი გაკეთებული ჰქონდა, ამ უბანზე სულ 810 ამომრჩეველია. 45-ე საარჩევნო უბანზე, სადაც 798 ამომრჩეველია, 105-ს ჰქონდა არჩევანი გაკეთებული 12 საათზე. ამავე უბანზე მისცა ხმა იმედა გოგავამ, რომელიც სამტრედიამ "შენების მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატის, დავით უსუფაშვილის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. იმედა გოგავამ განაცხადა: "დათო უსუფაშვილი არის დღევანდელ საქართველოში ყველაზე მიმეწინიანი, პერსპექტიული, ამ ქვეყნისთვის ყველაზე საჭირო პოლიტიკოსი, ამ არჩევანით ხმას ვაძლევ არა მარტო მას, არამედ, ქვეყნის უკეთეს მომავალს, მართალი გითხრათ, დამდლა ამ პოპულისტურმა, ურპატრიოტულმა, რაღაც ირეალურმა პოლიტიკამ, ყველა გვეჭირდება გამოსვლა ამ მოვალეობიანი კავკასიური ცარცის წრიდან. დავით უსუფაშვილი არის განსახიერება იმის, როგორ უნდა იყოს ევროპული ტიპის პოლიტიკოსი."

ხიბლარის მეოცე საარჩევნო უბანზე, სადაც კომისიას ევა სანაძე ხელმძღვანელობდა, 656 ამომრჩეველია. 12 საათზე არჩევანი 130 ადამიანს ჰქონდა გაკეთებული. 12-ე საარჩევნო უბანზე პირველის ნახევარზე 150 ადამიანს ჰქონდა გაკეთებული არჩევანი უბნის 860 ამომრჩევლიდან. "იდეალურად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს ხმის მიცემის პროცესი" - გვითხრა კომისიის თავმჯდომარე ხათუნა ფაილაძემ. სიმშვიდე იყო გადმა ზონის სოფელ ნიგორზღვამიც, 33 საარჩევნო უბანზე სულ 434 ამომრჩეველია, კომისიის თავმჯდომარის, გრიგოლ კვიციანი თქმით, 3 საათზე არჩევანი 153-ს უკვე ჰქონდა გაკეთებული. სოფელ დაბლა გომს სამი საათის შემდეგ ვეწვეით, 29-ე საარჩევნო უბანზე 889 ამომრჩეველია, 330 ამომრჩეველს ჰქონდა გაკეთებული არჩევანი. როგორც კომისიის თავმჯდომარემ ომარ ჩაჩუამ გვითხრა, აქტიუბა მაღალი არ იყო. მეორე საარჩევნო უბანზე "სამტრედიის მაცნეს" ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტის ადამიანის უფლებების ოფისის წარმომადგენლები გაესაუბრნენ და ჩვენი საკმარისობით დაინტერესდნენ. კომისიის თავმჯდომარის, მაყვალა ზამთარაძის თქმ-

ით, უბანზე სიმშვიდე იყო. ძველი სამტრედიის ტერიტორიაზე მდებარე მერვე საარჩევნო უბანზე, (კომისიის თავმჯდომარე მათა გაბელავა), 1328 ამომრჩეველია, პირველ საათზე აქ არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა 245 ადამიანს. აქაც მშვიდად მიმდინარეობდა პროცესი. ყველაზე მეტად დაზარალდა არჩევნების დღეს უბანი, სადაც "ევროპული საქართველოს" საპრეზიდენტო კანდიდატის, დავით ბაქრაძის, შტაბის უფროსმა, აეთო სტურუამ მისცა ხმა. ეს მეთექვსმეტე უბანია სოფელ ხუნჯულაურში. ემოციურად დატვირთული დაგვიხვდნენ კომისიის წევრები, რადგან ჩვენს მისვლამდე უბანზე განერულებული ამომრჩეველი მისულა, შესასვლელი კარის მინა ჩაუტეხავს, მცდელობა ჰქონია უბნის დარბევის. კომისიის თავმჯდომარემ, რუსუდან ქუთათელაძემ გვითხრა: "უბანზე 700 ამომრჩეველია, 3 საათზე არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა 274-ს, დიდიან მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა არჩევნები, მაგრამ მოქალაქე მათა ზნეაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა დარბევის მცდელობას. მიზეზი იყო უკიდურესად შეჭირვებული სოციალური მდგომარეობა, მინა ჩაუტეხავს და სურდა საარჩევნო ყუთის დაწევა, ვიდრე პოლიცია მოვიდოდა, ჩვენვე შევქველეთ, დაგამშვიდეთ და გავანეიტრალეთ, დავიკავით ბიულეტენები და ყუთი. სამწუხაროდ, დაიჭმუკუნა სიის სამაგიდო ვერსია. საოლქოს წარმომადგენელიც მოვიდა, ოქმი შედგა, პოლიციამ განმუხტა სიტუაცია."

ავთანდილ სტურუა: "აქ ცვხვობობ და ამ უბანზე მივეცი ხმა საქართველოს განვითარებას, მივეცი ხმა იმას, სიტუაცია რომ შეიცვალოს, რომ ხელისუფლება არ ფიქრობდეს კანაფის გაშენებაზე, რომ ხალხს უკეთესი პირობები ჰქონდეს, ვობრძე იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრების პირობები უკეთესობისკენ შევცვალოთ. უნდა ასე გაგრძელდეს? კი ბატონო, ხეალ იქნება გვიან. პარტიას, რომელსაც სურს საქართველოში მარხიუანას პლანტაცია იყოს და მავანმა მას მისცა ხმა, ხვალ მას შეიძლება შეეხოს ეს. მეორე იმ კაცმა არ უნდა იტიროს. აქ დღეს ინციდენტი მოხდა, ხალხს ისე უჭირს, არაფერი მიკვირს."

"სამბრადიის მაცნე" 88 წლისაა

მაცნე

სამბრადიის

ლევან გაბაჩავა

ვისაც საკუთარი საქმე, პროფესია უყვარს, არ შემოგედავება, არც ვადაჭარბებში ჩაგვითვლის ვითქვამთ, რომ 5 ნოემბრის, ჩვენი გაზეთის დაბადების დღის მოსვლას ისე გვგუბებით რედაქციის თანამშრომლები, როგორც საკუთარს.

ამ დღეს ვაჯამებთ, ვაფასებთ იმ მრავალმხრივ, რუტინული ტექნიკით დაწყებულ ქანცვამწვეტელი შრომისა და ძალისხმევის შედეგს, განვლილი წლების მანძილზე რომ გამოიჩინეს ჩვენმა წინაპრებმა, უფროსი და საშუალო თაობის ჟურნალისტებმა, სტამბის მუშაკებმა, შტატგარეშე კორესპონდენტებმა.

საზოგადოებრივ ფორმაციათა ცვალებადობას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა გაზეთი და ეპოქის დარად "ინათლებოდა" კიდევ: ასე იქცა "სოციალისტური შეტევა" "წინსვლა", "წინსვლა" – "სამბრადიის მაცნედ".

ჩვენი პატარა რაიონის გაზეთი საბჭოეთის მასშტაბითაც გამოსულა გამარჯვებული და საქართველოშიც კანონიერად იწონებდა თავს საქალაქო და რაიონულ გაზეთებს შორის.

იყო წლები კოლექტივიზაციისა, მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომი ადღენითი პერიოდისა, საბჭოეთის რღვევისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისა, დამოუკიდებლობის აღდგენისა და ა. შ.

არაფერს ვამბობთ, თუ რამდენს რამდენჯერ მოვლენია მხსენლად, მშველელად, ერთგულ, კეთილ მრჩეველად ჩვენი გაზეთი.

(სრულიად სამბრადიას, თითოეულ სამბრადიელს ეგულისხმობთ სიტყვაში ჩვენი, ლ.გ.) მის ფურცლებზე აიდგეს ფეხი როგორც პოეტებმა: კარლო კალაძემ, გიორგი კაჭახიძემ, ნოდარ ადგიშვილმა, გრიგოლ ჯუღალუხაძემ, ზოია ვაშაყიძემ, მაყვალა ჩირაგაძემ, ბახანა ჩაბრაძემ და სხვებმა.

ყურს უდგებს სამბრადიისა და სამბრადიელების, საქართველოსა და ქართველების და უკვე ესოდენ ახლობელი მსოფლიოს მაჯისცემას მხცოვანი გაზეთი და დაუნჯებულ რჩევებს სთავაზობს საზოგადოებას.

5 ნოემბერს 88 წელი სრულდება გაზეთის პირველი ნომრის გამოცემისა.

კრძალვით ვისხენებთ სევერიანე არობელიძეს, ილია გოგოლაძეს, ვალერიანე მეგრელიშვილს, ჟორჯო ჯანჯღავას, ვაჟა ნიკოლეიშვილს, ანზორ გრიგოლიას, ოთარ ნაფეცვარიძეს, აკაკი კონხეიძეს, მარო ხუჭუაძეს, თამარ კონხეიძეს, შოთა მდლ-აკელიძეს, სოსო ხაჭალას, ზოია კალანდაძეს, იური გაბედავას... სახელებს, ათეული წელი რომ იმუშავეს გაზეთში და თავიანთი ხელწერა დატოვეს ჩვენს მეხსიერებაში, სამბრადიის ისტორიაში.

სამადლობელის გარდა რა უნდა თქვა ქალბატონი ნაზი კიკაჩიშვილის, ბატონების კონხელი ჩიხლაძის, მიხეილ ნიკოლეიშვილის, რომან ბექაიას უდიდესი ღვაწლის შესახებ.

დავით ჩხაიძე, ოთარ გეგვიძე, ვალერიანე ბიბილაძე, გენო გეგვიძე, ჯონი ვაშაყიძე, რაისა არველაძე, ნონა ნაცვლიშვილი, ჟორა ფესვიანიძე, მიხეილ ნამიჩიშვილი, იზოლდა ლორია, ვაჟა ხეიბა, ბადრი ტონია, აკაკი ჯამბურია, ოთარ კახიანი... აი, არასრული ჩამონათვალი იმ ადამიანებისა, რომელთა ავტორობით სისტემატურად ქვეყნდებოდა გაზეთში აქტუალური წერილები, პუბლიცატიები.

დღესაც მოუთმენლად ელიან გაზეთის ყოველი ახალი ნომრის დაბადებას ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობრები, მკითხველები და ავტორები, დირსეული სამბრადიელები: მაყვალა კანდელაკი, ნათელა გელეიშვილი, ზაირა გრიგოლია, ანტონ გეგვიძე, ბორის კახიანი, იორამ ნიკოლეიშვილი, რევაზ შამათავა, გაბოჭორიშვილი, მერაბ ჩაჩავა, ჯემალ შენგელია, ტარიელ დვალისვილი, გიორგი ლეჟავა, თამარ რაზმაძე, გიორგი და ნინო ტონიები, თინა წითელიშვილი, დოდო ბოლქვაძე, ანზორ გეგვიძე, ნათელა ჯიმშელიშვილი, თემურ ჯუღალაძე, ბექა ფოცხვერია, გიგანტი ბიბილაძე, შუქრი ურუშაძე, გივი ფრანგიშვილი, ვაჟა ტერეშაძე, მერაბ არჩვაძე, გულგო გოგიტიძე, ვენერა პაპავა, რაულ ხუჭუაძე, სოსო დუნდუა და სხვები.

სასიამოვნო და საამაფოა, რომ გაზეთის 88 წლის იუბილესთან დაკავშირებით, როგორც წინა წელს, ამჯერადაც ერთ-ერთი პირველი შეგვეხმანა ჩვენი რაიონის დირსეული შვილი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბატონი ვაჟა თვალავაძე.

"უდიდესი პატივისცემით ვულოცავ რედაქციის თითოეულ წევრს, მკითხველს, სამბრადიელებს ჩვენი მშობლიური გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლიდან 88 წლისთავს.

მხარებს ის გარემოება, რომ არსებობის მანძილზე გაზეთი ჩინებულად უწყობდა და უწყობს ფეხს ეპოქის მაჯისცემას. თვალშისაცემია გაზეთის აკადემიური სტილი, იგი 150 წლის სამბრადიის მეისტორიე და მემკვიდრეა. გულწრფელად გილოცავთ, მეგობრებო, წარმატებებს გისურვებთ." – გვილოცავს ბატონი ვაჟა.

"გაზეთ "სამბრადიის მაცნეს" რედაქციას! "საქართველოს რეინიგზის" დასავლეთ რეგიონის რეინიგზელთა მრავალათასიანი კოლექტივის სახელით გილოცავთ გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლიდან 88 წლის იუბილეს. გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებსა და კეთილდღეობას თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში.

ჩემთვის დიდი პატივია სახელოვანი ისტორიის მქონე გაზეთთან თანამშრომლობა". – ასე თბილად გვილოცავს გაზეთის იუბილეს ღვაწლმოსილი რეინიგზელი, გაზეთის ერთგული მკითხველი და მეგობარი ბატონი რევაზ შამათავა.

არაერთ და ორ დირსეულ პიროვნებას უმუშავია რედაქციაში, მრავლად არიან ჩვენს გუნდში დირსეულები, მაგრამ ცალკე უნდა აღინიშნოს ჩვენი უმცროსი კოლეგის, საქართველოს დედა უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტის, შოთაგო პაპავას შესახებ, გაზეთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომელმა, დროის მცირე მონაკვეთში შეძლო დაკისრებული მოვალეობის ბრწყინვალედ შესრულება, დიდი ნდობის გამართლება და გარემომოწყობთა სიყვარულის მოპოვება. კიდევ მეტს ელის გაზეთის ირგვლივ შემოკრებილი საზოგადოება, მშობლიური სამბრადიის მშობლიური გაზეთი შოთაგოსაგან.

... საოცრად მოხდენილად ატარებს 88 წელს განახლებული "სამბრადიის მაცნე", სახელოვანი სპორტსმენები, მხატვრები, ახალგაზრდა პოეტები, მოსწავლე და სტუდენტი-ახალგაზრდობა, აბიტურიენტები, დეაწლმოსილი ადამიანები კვლავ მეგობრობენ გაზეთთან და ისიც კეთილ რჩევებსა და

დარიგებებს არ იშურებს მაილად.

"როცა დაცხრება შენი ენებები, როცა გერქმევა ერთ დროს ბებერი, სიბერეს მაინც ნუ მიენდობი, ციხე იყავი აუღებელი." იუბილეს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო გაზეთო, დიდხანს, დიდხანს გვენახე კეთილ ამბავთა მთხრობელად, მაცნედ!

ღლე სასწაული



დაბ, ნამდვილი დღესასწაული იყო 2011 წლის 3 ნოემბერს სამბრადიაში. ამ დღეს აღსრულდა თითოეული სამბრადიელის დიდი ხნის ოცნება და სახეიმოდ აკურთხეს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე, მაღალი სასულიერო წრის წარმომადგენლები სტუმრობდნენ ამ დღეს ჩვენს ქალაქს. სწორედ მისმა უწმინდესობამ აკურთხა ახლად გახსნილი ტაძარი, ისე როგორც მისი საძირკველი 1990 წელს.

ტაძარს სრულიად სამბრადია აშენებდა. დღას ქალაქში უფლის სახლი, ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ უმესანინაშავესი ხუროთმოძღვრული ძეგლი და მისი ზარების გუგუნის მრევლს თავისთან უხმობს.

სასიამოვნოა, რომ საკათედრო ტაძრის კომპლექსის მშენებლობა შეუწყვეტილად მიმდინარეობს. შორს არაა ის დრო, როცა აქ სამღვდელთაგან რეზიდენცია და სხვა დანიშნულების ობიექტები ჩადგება მწყობრში, საზოგადოების, ახალგაზრდების კულტურულ-შემეცნებით, ინტელექტუალურ განვითარებას რომ მოემსახურება.

3 ნოემბერს
1996 წელს, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდის წევრთა თანამწირველებით, არქიმანდრიტი საბა აკურთხა ხონისა და სამბრადიის ახლად აღდგენილი ეპარქიის ეპისკოპოსად.

"... შიში მაქვს, შევძლებ თუ არა ვზიდო ეს მძიმე ტვირთი, თუმცა, უფალი დაეხმოს და ყოველივეს შეაძლებინებს ადამიანს, თუ ღმერთს მოუხდება". –

ასეთი სიტყვები წარმოთქვა მამინ ეპისკოპოსმა საბამ. განვლილი 22 წელი ნათელი დასტურია იმისა, რომ მაღალყოვლადუსამღვდელოესი, ხონი-სამბრადიის ეპარქიის მმართველი, მიტროპოლიტი, მეუფე საბა სახელოვნად ზიდავს, მართლაცადა, მძიმე, თუმცა, ესოდენ საპატიო ტვირთს. ის განუზომელი ავტორიტეტი მეტყველებს ამანუ, რითაც მეუფე სარგებლობს მრავალრიცხოვან მრევლში.

ლევან გაბაჩავა



2 ნოემბერს გაბრიელ ბერის ხსენების დღეა

ბოი, სამეფის სანატრელო მამაო გაბრიელ, მიითუაღე ქების მეტყველებათა ესე უღირსთა მონათა შენთაგან და შემაგდარენ ჩვენ შენ მიერ ქადაგებულისა სამებასა, რაითა შენთანა უგალობდეთ: აღელეოთა.

ბერი გაბრიელი (ურგებაძე) 1929 წლის 26 აგვისტოს დაიბადა.

გიჟად შერაცხეს, რამეთუ ერთ-ერთი ღმრთისტრაციისას ლენინის სურათი შეურაცხყო, მრავალი ჭირი, დამცირება დაითმინა, მათხოვრობდა კიდევ. სამარის მაგვარ ორმოში ჭილოფებში შეხვეულს ეძინა...

გარდაცვალების შემდეგ, 2012 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ბერი წმინდანად შერაცხა.

მისი ხსენების დღედ კი 2 ნოემბერი დადგინდა.

წმინდანთა დასმის დავალებული ბერი გაბრიელი უფალთან გვემუძღვებოდეს და ჩვენი ერის შემწეობას სთხოვს.

ლევან გაბაჩავა



1372 დახიანი პორტატული კომპიუტერი 99 სამტრედიელი მოხმარებელს დაჯილდოვდა

კარგი სწავლისა და სანიმუშო ყოფიერებისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან წელს 99 წარჩინებული მოსწავლე დაჯილდოვდება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ერთი ათეული წელია, რაც უწყურადღებოდ არ ტოვებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბაზო საფეხურის ათოსან მოსწავლეებს. ისინი ძვირადღირებულ კომპიუტერებს ღებულობენ საქართველოს მთავრობიდან. ყოველწლიურად უმჯობესდება კომპიუტერების ხარისხი, შესაბამისად ღირებულება. 1372 ლარიანი პორტატული კომპიუტერ “ლენოვო” V310 – 15 -ით წელს სამტრედიელი 99 მე-10 კლასელი დაჯილდოვდება.

ნინო ნახიტაშვილი



ილაზაბა ლითონის ბოძები

საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებს კარგად გვახსოვს ქუჩებში უხეირო ხის ბოძები და ზედ გაჭიმული ელექტროგადამცემი ხაზები, რომლებიც ჯერ ცემენტის, გასული საუკუნის მიწურულისათვის კი რკინის ბოძებით შეიცვალა.

ერთ ხანს შეუღებავი, კოროზირებული (ჟანგის) ბოძები “ამშვენებდა” გარემოს, მერე კი ნახევარზე ოდნავ დაბლა შეიღებდა ისინი.

ამ დღეებში ქალაქ სამტრედიის ცენტრიდან დაბა კულაშის მიმართულებით ლითონის ბოძების შეღებვითი სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს “ტუ-კა” აწარმოებს (ქუთაისი, ღირეკტორი ომარ თოთაძე).

ხელშეკრულების ღირებულება 20 336 ლარი და 94 თეთრია, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 35 კალენდარული დღის ვადაში უნდა შესრულდეს.

საზოგადოება მოწონებით შეხვდა ყოველივეს.

ლევან ბაგრაძე



ეს სიახლეა!

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქრონიული დაავადებების სამეურნალო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და სოციალურად დაუცველები მედიკამენტებს ყველაზე დაბალ ფასად მიიღებენ PSP-ს აფთიაქებში.

აღნიშნული კატეგორიის პირებმა მედიკამენტების მისაღებად უნდა მიმართონ ოჯახის ექიმს, უნდა დარეგისტრირდნენ სოციალური მომსახურების სააგენტოში. სამი თვის დონას მიიღებენ აფთიაქებში, პირადობის მოწმობისა და შესაბამისი რეცეპტის წარდგენის შემდეგ.

სამტრედიის რესპუბლიკის ქუჩა № 28-ში განთავსებულ PSP-ს აფთიაქში შეიძლება ამ პროგრამით სარგებლობა.

ლევან ბაგრაძე

გართულებები თავიდან რომ იქნეს აცილებული

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრმა 24 ოქტომბერს “სათნოების სახლში” გრიპის ვაქცინაცია ჩაატარა. მსგავს აქტივობას ცენტრი ყოველწლიურად ახორციელებს. მოხუცები რისკის ჯგუფს წარმოადგენენ, მათი იმუნური სისტემა სუსტია და ხშირად აღენიშნებათ ქრონიული ფონური დაავადებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გართულებებს იწვევენ.



გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, როგორც სპეციალისტები ამბობენ, იმუნიტეტის გამოძევაზეა, დაახლოებით, 7-10 დღე სჭირდება, აქედან გამომდინარე სასურველია, ვაქცინაცია ჩატარდეს მანამდე, სანამ გრიპის სეზონი დაიწყება. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი მსგავს პრევენციულ ღონისძიებებს ატარებს სხვადასხვა რისკ ჯგუფებში, ესენი არიან ორსულები, დიალევზზე მყოფი პაციენტები და სამედიცინო პერსონალი, რომლებიც უშუალო კონტაქტში იმყოფებიან პაციენტებთან.

მარინა თევზაძე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ღირეკტორი სამტრედიის მუნიციპალიტეტში: “ჩვენ ყოველწლიურად სეზონის დადგომისთანავე ვიწყებთ რისკის ქვეშ მყოფი ადამიანების გრიპის ვირუსზე აცრას. “სათნოების სახლში” დღეს სწორედ ამ მიზნით ვიმყოფებით, რათა მოხუცები ვიხსნათ მომავალში გართულებებისაგან”.



ნინო ნახიტაშვილი

პროვინციული მოძრაობის ისტორია სამტრედიოში

ახე ეხოვნედი ხელისუფლების და ახე მისი დამხობის შემდეგ ახ გადამიდგამს ნაბიჯი, ხომლისაც შეიძლება შემხცხვეს!

ნათია ნაცვლიძე

როგორცაა “ეროვნული მოძრაობის ისტორია სამტრედიოში” მერვე მოწვევის პარლამენტის დეპუტატი და კონსერვატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი, მერაბ კაჭახიძე სტუმრობს. ბატონო მერაბი დრამატულ წლებს იხსენებს და დღევანდლობასთან საინტერესო პარალელებსაც აგვლავს.



– ჩვენთან ინტერვიუში გითქვამთ, რომ უამრავი მიმე დღე გამოვივლიათ ეროვნული ხელი-სუფლების დამხობის შემდეგ, რადგან ბევრი თანამებრძოლისაგან განსხვავებით, ბოლომდე უერთგულეთ ეროვნულ იდეებს, რომელ პერიოდს მიიხსენებთ ყველაზე რთულად ამ თვალსაზრისით?

– მაღლობას მოგახსენებთ ამ ინტერვიუსათვის, რათა მომეცით საშუალება, ჩემი მუნიციპალიტეტის საზოგადოებას, სადაც უამრავი მეგობარი მყავს, ამ ფორმით გავსაუბრებოდი. დიდი იდეები, მათი ერთგულება, ყოველთვის მსხვერპლს მოითხოვს, მითუმეტეს, თუ ეს იდეა შენი სამშობლოს დამოუკიდებლობას ეხება. მთელმა ქვეყანამ და ათი ათასობით ადამიანმა გადაიტანა ის “ბეწვის ხიდე” გასაყვანი პერიოდი, ასე რომ, ჩემს პირად განცდებსა და სვე-ბედზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, ერთს ვიტყვი მხოლოდ: არც ეროვნული ხელისუფლების მოსვლის პერიოდში და არც მისი ძალადობრივი დამხობის შემდეგ არ გადამიდგამს ნაბიჯი, რომლისაც დღეს შეიძლება შემრცხვეს.

– როგორ მიხვედით ეროვნულ მოძრაობასთან? ამის მიხეობი იყო მის სათავეში მყოფ ადამიანთა პატივისცემა, თუ ისინი თავადვე იყვნენ ელვარე იდეები, რომლებიც გიზიდავდნენ ახალგაზრდებს და თქვენ მზად იყავით, თავი გაგეწირათ სამშობლოსათვის...

– ერთი და მეორეც, ეს იყო მაშინდელი ეროვნული მოძრაობის ლიდერების, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, ლამის, ლეგენდებამ ქცეული პერსონები და რა თქმა უნდა, ყველა ღირსეული ქართველისათვის ნანი ნანატრი ოცნება სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ამ ოცნებისთვის ბრძოლის მზაობა, მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, ეს მზაობა მხოლოდ მაშინდელ სიტუაციას არ მოუტანია, ჩემთვის დამოუკიდებლობის იდეა ბავშვობიდან ნაცნობი იყო, რადგანაც ჩვენს ოჯახში მეგობრულ სუფრებზე ხშირად მსმენია ილიას მკვლელობაზე, პირველ

რესპუბლიკაზე და მათ ლიდერებზე, 1924 წლის აჯანყებასა თუ ქაქუცა ჩოლოყაშვილზე.

– იყავით სამტრედიის 24-ე ბატალიონის წევრი? მივიღიათ მონაწილეობა სამანაბლოს ქართული სოფლების დაცვაში? ან იმეოფებოდით აფხაზეთის ომში მამინ, როცა სოხუმის დასაცავად გვერდიგვერდ იდგნენ “ზვიადისტები” და “მხედრიონელები”? როგორია იმ დღეების ექო?

– კი, ბატონო, გახლდით სამტრედიის 24-ე ბატალიონის წევრი და მიღებული მაქვს მონაწილეობა სხვადასხვა საბრძოლო ოპერაციებში, იმ ღირსეული თანამებრძოლების მხარდამხარ, რომლებთან დღესაც ახლო მეგობრული ურთიერთობები მაკავშირებს. წაგებული ომის მონაწილეს საბაქოებში ნაკლებად აქვს, თუმცა, არ შემიძლია, დიდი მოწიფებით არ მოვიფიქრო ის გმირი ბიჭები, რომლებიც შეეწირნენ, მართლაც, სანუკვარ იდეას, რომელსაც ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ჰქვია... ომს, ბევრ ტრაგედიასთან ერთად, ხშირად მხიარული მომენტებიც ახლავს. ცხინვალის მოსახლერე სოფელ ნიქოში ვდგავართ სამტრედიელი მოხალისეები, ერთხელაც, საბრძოლო პოზიციებზე გვესტუმრა ავსტრიული გაზეთის მოსკოვის ფილიალის ჟურნალისტი, ინტერვიუს ჩაწერის სურვილით. ტრაგედიით არ ვამბობ, არ გვჩვეოდა სამტრედიელებს, მიუხედავად იმეოლობისა, კამერების წინ ყელფალობა. ჩვენი საკეთილშობილეს უხმაუროდ კეთება გვეჩია. მაღაზიაში ან სადმე თუ შევიდიოდით, იარაღს რომელიმე ჩვენგანთან, გარეთ ვტოვებდით. თუმცა ერთი “აქტიური” ყველა ოჯახშია და ჩვენც გვყავდა (სახელს და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) ინტერვიუს მიცემის მოყვარული მეგობარი, ჰოდა, არც დაუხანებია ჟურნალისტის შეკითხვაზე, ადგილზევე თქვენი ყოველდღიური ობაო, მგზნებარე პასუხი გასცა: სეპარატისტები გვესვრიან ტყვეობაში-

ქვეყნიდან, ავტომატებიდან და თქვენ წარმოიდგინეთ, გვაგინებენ (საბრძოლო პოზიციები ძალიან ახლოს იყო) კიდეცო!

– ერთხელ ახსენეთ ინტერვიუში, რომ ახლოს იცნობდით ყველაზე მგზნებარე მხედრიონელებს, რომლებიც დიდ ჯიხაშიში, თქვენს მეზობლად ცხოვრობდნენ. მიუხედავად ძმათა დაპირისპირებისა და სამოქალაქო ომისა, ხომ არსებობდა წმინდა ადამიანური მომენტი, რაც თანასოფლელებს აიძულებდა, ერთურთი სატყვეოდ არ გაემეტებინათ. იქნებ მსგავსი თანაგრძობის მომენტები გაიხსენოთ...

– კი ბატონო, ასეა, არათუ ვიცნობდი, რომ იტყვიან, ერთად გავიზარდეთ, ერთი თაობა ვართ. ბედის მუხანათობამ და ცოტა ქართველების ხასიათმა ასეთი ხვედრი გვარგუნა. მიუხედავად ამისა, ე.წ. “წითელი ხაზები” არასდროს გადაგვივითავს და სწორედ ამან მოგვცა იმის საშუალება, რომ დღესაც ვახლობლობით, ერთი საწუხარი გვაქვს მხოლოდ. ალბათ, ახალგაზრდული ასაკის გამო, არ გვეყო მამინ ჭკუა და წინდახედულება და დაგვემართა ის, რაც დაგვემართა, რაც ძვირად დაგვიჯდა ჩვენც და ქვეყანასაც.

– ახლოს იცნობდით ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას? როგორ გახსოვთ ისინი?

– ძნელია, საგანეთო ინტერვიუში გადმოსცე გრძობა და ემოცია, რასაც ამ ადამიანების გვერდით ყოფნისას განვიცდიდი. ბავშვობაში, როცა საქართველოს ისტორიას ვსწავლობდი, ხან დავით აღმაშენებლის გვერდით მინდოდა ვყოფილიყავი დიდგორზე, ხან ერეკლეს და სამასი არაგველის მხარდამხარ მებრძოლა კრწანისის ველზე და ხან ილიას ვხლებოდი წიწმურთან, რათა დამეცვა და გული მწყებოდა, რომ ამას ვერასდროს შევძლებდი, სწორედ ამ ბავშვური ნატვრის თუ ილუზიის ახლომას გავდა ზვიადისა და მერაბის გვერდით ყოფნა. ვგრძობ-

დი, რომ მათთან დღომით რაღაც დიდს ვემსახურებოდი.

– 25 წელი გადის და ამა წლის დეკემბერში უკვე ხანდაზმულობის ვადა ეწურება გამსახურდიას მკვლელობის საქმის გამოძიებას, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ღირსების საკითხი, ერმა გამოიძიოს იმ პრეზიდენტის სიკვდილის საქმე, რომელმაც ერს ნანატრი დამოუკიდებლობა მოუპოვა?

– ყველა ერის ღირსების საქმეა, პირუთვნელად იცოდეს თავისი ისტორია, რათა სწორად განსაზღვროს სამომავლო სვლა-გეზო! თუმცა, ისტორიულ მოვლენებს ახასიათებს ბუნდოვანება და მით უმეტეს, ისეთი ეპოქალური პიროვნების სიკვდილს, როგორცა გახლდათ ზვიად გამსახურდია, სულაც არ მიგვირს, რომ დღესაც, 25 წლის შემდეგაც ახლავს სჯაბასი. რა თქმა უნდა, მივესალმებოდი, ამ ამბავს ნათელი მოეფინოს, თუმცა იმასაც ვიტყვი, თუ რაიმე ისეთი უნდა გამოვლინდეს, რაც ჩვენი ერის ღირსებას შელახავს, მაშინ სჯობს, საიდუმლო საიდუმლოდ დარჩეს. ანალოგიურს ვიტყვოდი მერაბ კოსტავას ტრაგიკულად დაღუპვის საქმის გარემოც. ეს რაინდები გავდნენ ქართული მითოსიდან გადმოსულ გმირებს, დაე, მათი ამ ცხოვრებიდან გასვლაც მითად დარჩეთ მომავალ თაობებს! როცა მერაბ კოსტავას დაღუპვის ამბავი თბილისს ჩამოვიდა, სტუდენტებმა სპონტანურად დავიწყეთ კინოთეატრებში შესვლა და სეანსზე დამსწრე საზოგადოების ინფორმირება. მასსოვს კინო “რუსთაველში”, როცა იქ მყოფებს ეს ტრაგიკული ამბავი ვაუწყეთ, მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე ადგა და უხმაუროდ დატოვეს იქაურობა.

– თქვენს თანამებრძოლებს ხშირად გულისტკივილით უთქვამთ, რომ დაიკარგა ის ადამიანური სისუფთავე და პატრიოტული სული, რაც იმხანად თქვენ გაგანძობდა. კთანხებით?

– ღიას, ისინი გულის ტკივილს გამოხატავენ იმ ამბების მიმართ, რომლებიც მოხდა ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. წლების ამ გადასახედიდან, ალბათ, უკეთესად ჩანს, თუ რა და როგორ უნდა გაკეთებულიყო ამა თუ იმ ეტაპზე. ეს ცხოვრებისეული მომენტია, ცხოვრება თავისას გვასწავლის. რაც შეეხება ეროვნული მუხტის დაკარგვას, ამაში ვერ დავითანხმებოთ. ვფიქრობ, ყველა ეპოქას და შესაბამისად, მის საზოგადოებას კონკრეტული ამოცანა უდგას გადასაწყვეტად. ჩვენს თაობას დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ერგო და ამ ბრძოლას შესაბამისი განწყობა და მუხტი სჭირდებოდა. დღევანდელ თაობას ჩვენს მიერ ოღრო-ჩოღრო გზაზე გამოტარებული დამოუკიდებლობის დაცვა-გაძლიერებისათვის ზრუნვის დღის წესრიგი აქვს, შესაბამისი ცხოვრების წესიც, თორემ ქართული გენის მუხტი და ჟინი რომ არსად გამქრალა, ეს 2015 წლის თბილისის ვერეს ზეობის ტრაგედიისას ათი ათასობით დარაზმულმა ახალგაზრდამ დამანახა. ასე რომ, ცხოვრება გრძელდება და დარწმუნებული ვარ, ჩვენი შვილების და შვილიშვილების თაობა უფრო მეტს მიადევს, ვიდრე ჩვენ შევქმელით, თუმცა, აქვე მინდა ვთქვა, არც ჩვენ ვართ ჯერ “ჩამოსასწერნი”...

– თქვენი შეფასებით, რამდენად დიდია სამტრედიის მიერ შეტანილი წვლილი ეროვნულ მოძრაობაში? ვგულისხმობ როგორც თავგანწირული გმირების რიცხვს, ისე აქციებისა და გაფიცვების სიმრავლეს. ვიმოწმებ ზვიად გამსახურდიას მოწერილ წერილს, 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ: “საქართველოს ბედი კოლხეთის უძველეს მიწაზე უნდა გადაწყვეტილიყო და ასეც მოხდაო”, ის მაღლობას უხდიდა სამტრედიელებს რეინიგზის გადაკეტვის მასშტაბური აქციის გამო”...

– საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში წვლილის შეტანა ყველა ქართველისათვის სამაფო და საპატიო უნდა იყოს. მე, მაგალითად, მეამაყება, რომ ჩვენი ქალაქი და რაიონი თავისი ღირსეული შვილებით ამ ბრძოლის ავანგარდში იყო. დანარჩენი ისტორიამ განსაჯოს, რამდენად წარმატებულად გამოვივიდა ეს ყველაფერი!

– როგორ ფიქრობთ, დღევანდელი საქართველო ერთგულობს მერაბისა და ზვიადის იდეებს?

– ზვიადისა და მერაბის იდეები ცალკე აღებული არ არსებობს, ის ნაყოფი იყო დავითის, თამარის, ცოტნე დადიანის, ცხრა ძმა ხერხეულიძის, ილიას, ვაჟას, თუ ისტორიიდან მაკეკრალი ასი ათასობით უსახელო თუ სახელიანი ქართველის ოცნების თუ იდეისა. სანამ საქართველო იარსებებს, ამ იდეას ერთგულნი არ დაუღვევა!

ტრადიციული ღია კარის დღე და ახალგაზრდების ინტერესების დანაწილება

ნათია ნაცვლიძე

ტრადიცია არც წლებიდან წლებს დარღვეულა: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ტრადიციული ღია კარის დღე გაიმართა. ეს დღე ყოველთვის საზეიმოა. სახლში მრავალი შემოქმედებითი და საგნობრივი წრე არსებობს, ახალგაზრდებს შეუძლიათ, სრულიად უსასყიდლოდ მიიღონ გაკვეთილები უცხო ენაში, მათემატიკაში, ზოგად უნარებში... იყვნენ მოსწავლეთა პარლამენტის, მხარეთმცოდნეობის წრის თუ მოსწავლეთა თეატრის წევრები... ამ სახლში ახალგაზრდები შემოქმედებითობასთან ერთად ზნობრივ ფასეულობებს ერთვებიან, ეს სახლი ხომ ნიჭიერი და ეროვნული ღირებულებებით დამუხტული მომავალი თაობის სამკვლელოა. ამავე სახლში ფუნქციონირებს ცეკვისა და სიმღერების შემსწავლელი შემოქმედ-



ბითი გაერთიანებები ("ლილე", "ალილო", "ორუდილა", "შოუ ბალეტი "ფანტაზია"), რომელთაც არამარტო სამტრედია, სრულიად საქართველო იცნობს. მოსწავლეთა ახალგაზრდული პარლამენტის ლიდერმა აქტიურმა და ენერგიულმა წევრმა, თამუნა ჯინჭველიძემ სტუმარ-მოსწავლეებთან ერთად ყველა ოთახი შემოიარა, სადაც სხვადასხვა სა-

ხის მუშაობა მიმდინარეობს. სტარტი ფოლკლორული სიმღერების შემსწავლელი წრის ოთახიდან აიღეს, სადაც უკვე ფორტეპიანოს უსხდნენ პატარები. პედაგოგმა ელისო რობაქიძემ და მადონა კობრეიძემ გაწეული საქმიანობისთვის დიპლომები მიიღეს. ასევე გადაეცათ დიპლომები სახლის სხვა პედაგოგებს. პატარებმა უნიკალური ქართული სიმღერებით გახსნეს ღია კარის დღე. შემოქმედებითი მატარებლის მომდევნო "ბაქანი" ქარგვისა და მკარამეს შემსწავლელი წრის ოთახი იყო, სადაც ბავშვებს ირინა ქორიძე და მაია თარგამაძე დაუხვდნენ. 3 ათეული წელია, რაც ირინა მასწავლებელი მკარამეს ასწავლის მოსწავლეებს. მომდევნო გაჩერება მათემატიკის საგნობრივი წრის ოთახია, სადაც ნესტან მსხილაძე ამ ბევრისთვის მწიფად გასაგებ საგანში აუმაღლებს ცოდნას ახალგაზრდებს. ასევე ეწვივნენ ქალბატონ ლია ზაქრადეს, რომელიც ზოგა-

დი უნარებით დაინტერესებულ მოსწავლეებს ამეცადინებს. ასე მოიარეს ყველა ოთახი და გაესაუბრნენ ყველა პედაგოგს... იმ დღეს ბევრი ისეთი ბავშვი იყო, პირველად რომ შედგა ფეხი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლ-



ში და ახლა ირჩევენ, სად, რომელ, წრეზე იარონ და რომელ შემოქმედებით ჯგუფში გაწევრიანდნენ. წლებიდან ღია კარის დღეს კიდევ ერთი სიახლე ახლდა თან. მოსწავლეთა პარლამენტის წევრებსა და სახლის პედაგოგებს კლინიკა "მედიკალფის" წარმომადგენლებმა საჩუქრად მომსახურების გაწევის გადასცეს. გაუჭირეს მფლობელისთვის ამ კლინიკაში ხელმისაწვდომი ხდება გარკვეული ფასდაკლებით სხვადასხვა სერვისის მიღება: ოჯახის ექიმის კონსულტაცია – უფასო ულტიმტო, ლაბორატორიული კვლევები – 10%, ნებისმიერი ორ-

განოს ექოსკოპია 15%, თბილისიდან მოწვეული ექიმების კონსულტაცია 15%, გასტროსკოპია 10% და ა.შ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ტატა გოგუაძე: "25 წრე მოქმედებს, აქ გაერთიანებულია შემოქმედებითი და საგნობრივი წრეები, ეს ტრადიციაა, მოდიან მოსწავლეები, მშობლები და ირჩევენ, სად რომელ წრეზე იარონ, რომელ შემოქმედებით ჯგუფში გაწევრიანდნენ. წარმატებებს და ნაყოფიერ წელს ვუსურვებ ჩვენს მოსწავლეებს, დახუნძლულს საინტერესო დონის მიხედვით და სიურპრიზებით".

მე და საზოგადოება

ასე ჰქვია ახალ საგანს საჯარო სკოლებში რომ ისწავლება და მომავალ თაობებში ცნობიერების სრულყოფას, ამაღლებას რომ ემსახურება.

სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მაშინ მოგვიწია მისვლა, როცა იქ პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ. ვიდრე მუზეუმის ხელმძღვანელი გულყო მხელაძე დაწყებითი კლასების მოსწავლეებს მათთვის გასაგებ ენაზე უხსნიდა მუზეუმში წარმოდგენილი ექსპონატების მნიშვნელობას და სამტრედიის, მისი ცალკეული სოფლების ისტორიის შესახებ უყვებოდა, №1 საჯარო სკოლის პედაგოგს, ნონა ჯინჭარაძეს, გავესაუბრეთ.

ახალი საგანი "მე და საზოგადოება" საჯარო სკოლებში სიახლეს წარმოადგენს. რაკი საგანგებო თემა "მუზეუმი" გახლდათ, გადაწყვიტეთ, მოსწავლეები მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოგვეყვანა. საკუთარი ქვეყნის შეცნობა შენი კუთხის, სოფლის, ქალაქის ისტორიის შესწავლით უნდა დაიწყო, ჩვენი აქ მოსვლის მიზანიც ესაა. მე-4 კლასში ვასწავლი ამ საგანს, კლასის ხელმძღვანელი კი რუსუდან წიქვაძე გახლავთ. აქ სხვა კლასებიც აპირებენ მისვლას, გვითხრა ქალბატონმა ნონამ და მასპინძლობისათვის თბილი სიტყვები არ დაიშურა მუზეუმის მესვეურთა მისამართით.

დიდხანს ემასხორებათ ექსკურსიის მონაწილეებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გატარებული წუთები.

ლევან ბაგრაძე

აპერიკელაჰი უნაჰი თავს მასპინძლად მინოზან

ამაში ნათლად დავრწმუნდით 19 ოქტომბერს ეწრის საჯარო სკოლაში სტუმრობისას. მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, საერებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, მერის მოადგილე დავით ბახტაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და მედიის წარმომადგენლები კიდევ ერთ ლამაზ ღონისძიებაზე მიიწვიეს აქაურებმა.

"ნიჭიერი 2018" – ასე ერქვა საღამოს. მოსწავლეებმა შესანიშნავი პროგრამა წარმოადგინეს. სახელდახლოდ იმერეთსაც უმღერეს, იმერული გულუხვობით სუფრაც გაშალეს და ქართულ-ინგლისურად საქართველოსა და მეგობრობის სადღეგრძელოები დასცალეს. ცეცხლოვან ქართულს ეროვნული ფოლკლორის მარგალიტებიც ცვლიდა, ინგლისურადაც ჩინებულად იმღერეს ეწრელმა მოსწავლეებმა და ჟიურის წევრებიც მაღალ შეფასებას არ იმურებდნენ ნორჩი შემსრულებლებისადმი. სკოლას (დირექტორი მიხეილ კოპალეიშვილი) ნამდვილად ამჩნევია მზრუნველი ხელი, სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე თვალმისაცემია და ეზოსა თუ კლას-კაბინეტებში, დერეფნებში ერთნაირად იგრძობა. არაერთხელ აღვებინებავს, რომ ეწრის სკოლა უკვე ექვსი წელია, ამერიკელების მიერ დაფინანსებულ პროექტშია ჩართული. ორგანიზაცია "თბილისის მოზარდთა სახლის" მხარდაჭერით სკოლის თითოეული მოსწავლე უზრუნველყოფილია უფასო კვებით, სამედიცინო გამოკვლევებით, სტუდენტთა დაფინანსებითა და სხვადასხვა სოციალური პროექტებით.

პროექტის მონაწილე ამერიკელები ორგანიზაციის ხელმძღვანელთან, ლინ ბენქსთან ერთად ადევნებდნენ თვალს მოსწავლეთა მიერ მომზადებულ ღონისძიებას, რომლის დასრულების შემდეგაც ლინ ბენქსმა მოსწავლეებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. სტუმრებმა მაღალი შეფასება მისცეს ღონისძიებას და გარჯა შეუქმეს მოსწავლეებს, პედაგოგებს. ამავე დღეს მუნიციპალიტეტის თავკაცებმა, სკოლის რეაბილიტაციული ქიმიის კაბინეტი დაათვალიერეს.

დაბოლოს, საღამომ თვალნათლივ დავგანახა, რომ ჩვენგან შორს მყოფი ამერიკა ესოდენ ახლობელია საქართველოსათვის, ამ შემთხვევაში ეწრელი პატარებისათვის.



ლევან ბაგრაძე

წიგნის მოყვარულთა კლუბი

წიგნი გაძლევს იარაღად ფიქრის უნარს, როგორც უნ იბაზ ყველა ბრძოლას!

ნათია ნაცვლიძე

ბოლო ხანს რუბრიკაში “წიგნის მოყვარულთა კლუბი” აქცენტი ახალგაზრდა რესპონდენტებზე ავიღეთ, ნიჭიერ სტუდენტებსა თუ მოსწავლეებს. ახალი თაობა ორიგინალურ და საინტერესო შეხედულებებს გვიზიარებს, ეს ფაქტი ჩვენთვის ერთობ სასიხარულოა. ინტელექტუალური ჭიდილი და წიგნიერ ადამიანებთან აზრების გაცვლა-გამოცვლა მაშინ უფრო მეტად საინტერესოა, როცა, შესაძლოა, მენტალურად არც ერთმანეთს მოსაუბრეს. წიგნიერი ადამიანები ხომ აჯანსაღებენ კულტურულ ცხოვრებას, აფერადებენ ერთფეროვან და დამტანჯველ ყოველდღიურობას. რედაქციაში მეთორმეტე საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე შოთა ბარდაგელიძე გეგეგია, მას უკვე არჩეული აქვს პროფესია – სამედიცინო უნივერსიტეტში აპირებს სწავლის გაგრძელებას.

– სად გირჩევნია კითხვა, წიგნში თუ კომპიუტერში?

– ჭკვიანმა კაცმა, უმბერტო ეკომ წიგნში “ვარდის სახელი” თქვა ასეთი რამ: “სად არ ვეძიე სიმშვიდე, სად არ ვეძიე სიმყუდროვე და ის ვიპოვე კუთხეში, წიგნით ხელში”. რაც შეეხება წიგნიერებას, ვფიქრობ, ლიტერატურა – ეს არის ჟანრობრივი ხასიათი, რომელსაც ატარებს ადამიანი და რომელიც ეხმარება მას გამოწვრთვებაში, თვალსაწიერის გაფართოებაში. კითხვის პროცესი – ეს არის ფიქრისგან გაქცევის საშუალება, დავესხები ოთარ ჭილაძეს “და არ შემეძლო მეფე იქნა რამე და ვკითხულობდი”... კითხვა გეხმარება აზროვნების განვითარებაში, შეხედულებათა აღქმის გაღრმავებაში და გვეხმარება, ვიპოვოთ საკუთარი თავი იქ, სადაც იმალება ჯერ არ გამოძვლავებული ცნობიერება. ცნობიერება, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ყოფიერებას. ყოფიერება, ჩემი აზრით, ეს არის არსებული რეალობა, რომელსაც ვქმნით ჩვენივე შეხედულებათა კონიუნქტურით.

– რას შეადარებდი უწიგნოდ ჩავლილ დღეს?

– უსიცოცხლო არსებობას. როდესაც არ კითხულობ, არ ფიქრობ, როცა არ ფიქრობ, შენ ვერ ცხოვრობ.

– რომელი ჟანრის ლიტერატურა გიბაძავს?

– მოდერნისტული ლიტერატურა არ მხიბლავს, მაგალითად, ჯეიმს დეზნერი. არსებობს წიგნი “გვიგოგო”, ასევე არ ვეტრფი პაულო კოელიოს, ეს მწერალი ამბობს იმას, რაც უკვე ითქვა.

– რომელ მწერლებთან ტრიალებს თქვენი გემოვნება?

– ჰერმან ჰესესთან, რიუნოლფე

აკუტაგავასთან, ჯერომ სელინჯერთან, ვველაზე მეტად დამაინტერესებს შტეფან ცვაიგმა და ჯეკ ლონდონმა. ძალიან დამაფიქრა ჰემინგუეის ნაწარმოებმა “მოხუცი და ზღვა”. სამილდე წლის წინ გავიცანი ადამიანი, რომელმაც შეძლო, დავეფიქრებინე იმ ამორფულ მასაში მოტივტივე საგანი, რომელიც ითხოვდა რაღაც ახალს, იგი აღმოჩნდა კარგი მრჩეველი, რომელმაც განა-



ითარა ჩემში თვითრეიტინგის უნარი. მიმითითა წიგნებზე, ფილმებზე, რეჟისორებზე, მასწავლა, როგორ დავაკვირდე ვველაფერს, მქონდეს საღი აზრი ჩემს ქვეყანაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით.

– დაგხმარებია წიგნი ცხოვრებისეული პრობლემის გადალახვაში?

– ცხოვრებისეული პრობლემის გადალახვას დავარქმევი იმას, რომ მასწავლა შრომა, დროის აღქმისა და შეგრძნების უნარი განმეფიარებინა.

აკუტაგავას “ცხოვრება იდიოტისა,” ესაა წიგნი, რომელმაც როგორც მერაბ მამარდაშვილი იტყოდა, “ჩამაგლო ფიქრში”. მოხუცი საინტეგო არასოდეს ნებდება და აქვს იდეოლოგია, რომ ხვალანდელი დღე აუცილებლად უკეთესი იქნება დღევანდელზე, რომ ადამიანს არა აქვს დანებების უფლება, მან უნდა ირწმუნოს, შეძლებს იმ მიზნის მიღწევას, რომელიც დაისახა.

– რომელ ლიტერატურულ ან ისტორიულ გმირთან იმეგობრებით?

– ვიმეგობრები ჰოლდენ კოლფილდთან, ნაწარმოების “თამაში ჭვავის ყანაში,” გმირთან. ესაა პერსონაჟი, რომელიც გაუცხოვებულია გარემოსგან და გრძობს აპათიას სიყალბის მიმართ, რომელიც ყოველდღიურობად იქცა ჩვენს სამყაროში. ამიტომ იფიქრა, რომ არათუ სიყალბის მორევში ჩაძირული ადამიანები, არამედ, ჯობდა ბავშვები გადაერჩინა, რადგანაც ისინი წარმოადგ-

ენენ სახეს ჭეშმარიტებისას. რაც შეეხება ისტორიულ გმირს, ამაზე არ დავფიქრებულვარ, მოდით, მარო მაყაშვილზე შევჩერდები. ის მაძღვეს იმაზე ფიქრის საშუალებას, რომ ჩემი ქვეყნის ეროვნული თვითმეგება შევცვალო ინოვაციური თვალთახედვის განვითარებით და ვიზრუნო მისი ტერიტორიული მთლიანობისათვის.

– ქართულ მწერლობაში გად-

მოვიხედოთ, ის რაც მშობლიური და ვველაზე ძვირფასია ჩვენიფის.

– “ვეფხისტყაოსნით” დავიწყებ, პოემით, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი უნდა იყოს ქართველის მოვალეობა და მოთხოვნილება იმისა, რომ ის იყოს თავისუფალი, ერთგული, მებრძოლი და თავისი მიზნების უპირობო განმხორციელები. საყვარელი აფორიზმა “კოყსა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების” და ასმათი ავთანდილის ეუბნება “ჩაღად მიხს ყოველი სოფელი, მისთვისცვე შემოწონია”, ეს არის ადამიანი, ქალი – სახე ერთგულების, რომლისთვისაც ამქვეყნიური ყოფა არის უსაფუტელო, უმინარსო ტარიელის გარეშე.

– თქვენს დროში შესაძლებელია ასეთი მეგობრობა?

– რა თქმა უნდა, იყო ოქროს ხანა, სადაც ადამიანები ქმნიდნენ შესანიშნავ ნაკეთობებს, დღეს ვცხოვრობთ ტექნოლოგიების ეპოქაში, სადაც ერთი შეხედვით გრძობები და ემოციები გახუნდა და დავივიწყეთ ფიქრი. ფიქრი – ეს არის დალოგი საკუთარ თავთან, ანუ შენს მეორე მესთან, შენს ეგოსთან, რომელიც არის საპირწონე უმოქმედობისა. თუ სიღრმისეულად შევხედავთ, მეგობრობა, სიყვარული, განცდები ყოველთვის თან ახლავს ადამიანს ნებისმიერ ეპოქაში და თუ შენ არ აძლევ თავს იმის უფლებას, საკუთარი სული არ გაზარდო “განცდათა სისრულით”, მაშინ მნიშვნელოვანი არა აქვს, თუ რომელი ეპოქა არის გაბატ-

ონებული სამყაროში.

– სულის გაფაქინებაში წიგნი ხომ გვეხმარება, მთლიანად რომ არ გვეთანთქოს მატერიალ...?

– დიას, წიგნი, რა თქმა უნდა, გვეხმარება ამ ვველაფერის სისრულეში მოყვანაში, წიგნი ესაა არსენალი, რომელიც შენ გაძღვეს იარაღად ფიქრის უნარს, რომლითაც შენ იგებ ვველა ბრძოლას. საყვარელ მწერლებს დავუბრუნდები, ნოდარ დუმბაძის მიმართ ჩემი სიმპათია განსაზღვრა იმან, თუ როგორი კავშირი აქვს მას დღევანდელს. რომანში “შინაინი ღამე” გურამი თემურს ეუბნება: “დიას, ჩემო თემურ, გაუმარჯოს დღევანდელი, რომელიც დღევანდელია...” დღევანდელი ეს არის უბრალოება ადამიანში, სიყვარული, განცდა რომელიც ადგაგზნებს საიმისოდ, იტირო, გაიცინო და იფიქრო”. მწერლის სპეციფიკაა, მკითხველამდე მიიტანოს უბრალო ადამიანების თვალთახედვა ისე, რომ მათ იგრძნონ, მათ ეტყინოთ და ბოლოს კი საკუთარი თავი ამოიცნონ... ეგაა წიგნის ხიბლი სწორედ, ის გვეხმარება საკუთარი თავის ამოცნობაში.

– ვიდეო-ლექციებს უსმენ ლიტერატურული ნაწარმოებების შესახებ?

– ძალიან ხშირად ვისმენ მერაბ მამარდაშვილის ლექციებს, ასევე, ლევან გიგინეიშვილის, ლევან ბერძენიშვილის და ანდრო დგებუაძის ლექციებს. ნახევარი საათი თუ გამიწინდა თავისუფალი დრო, ამ დროს ვუსმენ, არის განწყობა, ჩემითვე ვიკითხო და ვიფიქრო...

– პოეზიასთან რამდენად ახლოს ხარ...

– ცივი-თქო ვერ ვიტყვი, პოეზია ბავშვობიდან მიყვარს და მომწონს. ამაში დედასაც მიუძღვის წვლილი, სკოლაში რომ შევიდიდი, ლექსი სკამზე შემდგარმა მოვეყვი, შემდეგ მეოთხე კლასში “ვეფხისტყაოსნის” ნაწყვეტის სწავლა მოგვიწია, საზაფხულო არდადეგებზე, დამრიგებელმა სვეტა ქობულაძემ “ვეფხისტყაოსნის” ეპილოგი მასწავლა, მასსოვს, ოცამდე კუბლეტი მოვეყვი... დედაჩემი სამი წლისას მასწავლიდა, ვფიქრობ, პატარაობიდან აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა იმ გენიალურ ქმნილებასთან. ლექსი – ეს არის პატარა მათემატიკური ამოცანა, რომელიც გვეხმარება უკეთ აზროვნებაში და გეხმარება, რომ იცხოვრო და არა იცოცხო. დავიწყებ ოთარ ჭილაძით, მიყვარს “რკინის საწოლი”, “რა მოხდა, თუკი ვედარ შევხვდებით.” “ცხოვრება არის შლეგიც და მშვიდიც, რომელიც ისევე მიდის და მიდის!” გრიგოლ რობაქიძის “გველის პერანგი” მასსენდება, კერძოდ, ეპიზოდი “ქარავანი”, სადაც იკითხება კანონზომიერება, რომ ცხოვრება არის წინ მოძრაობა და ადამიანის მოვალეობაა, არ გაჩერდეს! რადგანაც დადგება დრო, როდესაც მას მოუწევს გაჩერება! ასევე ძალიან მიყვარს ბესიკ ხარანაულის “ჩემო დედი”. ხარანაულმა ერთ-ერთ ინტერვიუში გვითხრა, რომ ყოველი დედის ფიქრი იქამდე მიდის, სანამდეც გრძელდება მათი შვილების საყალი გზა. გა-

მოვარჩევი კარლო კაჭარავას “დამის ელევას”, ვველაზე მთავარი ფრაზაა “მდიდრებს და ღარიბებს, მართლაც რომ, განსხვავებული ღმერთები ჰყავთ”.

– რომელი ახალგაზრდა პოეტები მოგწონს?

– წაყვითხე ზვიად რატიანის პოეზია, ძალიან მომეწონა.

– ბიბლიოთეკა დიდი გაქვთ?

– ოთხასამდე წიგნი მექნება, არც დიდი, არც პატარა, სამაგილო წიგნია აკუტაგავას მოთხრობების კრებული “უსიერ ტყეში”.

– წაყვითხულის შესახებ ვისთან მსჯელობ?

– ერთ-ერთი მათგანი ჩემი კლასელი გიორგი თევზაძეა, მეტსახელად პიპსტერი. ის ასოცირდება მთავროვნებასა და თავისუფლების წყურვილთან, რეტრო კულტურასთან, როგორც თვითონ ამბობს. ვსაუბრობთ, განვიხილავთ. ამ ეტაპზე მასთან ვველაზე ახლოს ვარ. ერთადერთი პედაგოგი, ვისთანაც მისაუბრია წაყვითხულ წიგნებზე, ნანახ ფილმებზე, საყვარელი ნაწარმოების გერანინაციაზე, ფეხბურთზე ნინო ონიანია. იყო შემთხვევებიც, დამატებით გაკვეთილიც ჩავეტარებია, ცხარე კამათი გვექონდა კრიშტიანურონალოზე, “მადრიდის რეალის” ქომაგი ვარ და ვეაბათეთ, თუ როგორია ონალოდოს ტაბური სახე. ქალბატონ ნინოს მიაჩნდა, რომ იგი იყო ზედმეტად ამპარტავანი, უტრირებული და არაბუნებრივია. მე ასე არ ვფიქრობ. ამ ადამიანის მიმართ დიდი სიმპათია გამაჩნდა და გააჩნდა, ეს არის მსოფლიო დონის ვარსკვლავი. ბებერ ქალბატონში, “იუვენტუსში” გადავიდა.

– წიგნები უყვარს?

– რამდენადაც ვიცი, ფეხბურთის გარდა არაფერი უყვარს, მაქსიმალისტია და ამიტომაც მომწონს, შრომისუნარიანია.

– რატომ უნდა ვვიითხოთ წიგნი?

– ვვიითხოთ, რომ შევძლოთ საკუთარი თავის გამოცნობა, გავერკვეთ სურვილებში და ვიპოვოთ წერტილი, მიზანი, რომლისკენაც უნდა ვიმოძრაოთ. დოქტორ ფრანცეშკა ინში მერი შელი ამბობს: ადამიანის სულს იმაზე მეტად არაფერი ამშვიდებს, რაც არის მიზნის პოვნა, წერტილისა, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ყოველდღე, ყოველ წუთს და ყოველ წამს. ძალიან მიყვარს ჯემალ ქარჩხაძის “იგი”, სადაც მან გვითხრა, რომ ადამიანის პიროვნული მოვალეობაა, გააჩნდეს სურვილი, თავისუფალ ინდივიდალ ყოფინისა. მან გვითხრა, რომ თავისუფლება ყველას ხვედრია და არა მხოლოდ ლომთა! გენიოსად შევაფასებდი დავით კლდიაშვილს, იმიტომ, რომ წერდა ადამიანებზე, რომელთაც არ გააჩნდათ მაღალი იდეალები, ამით მას ფრანც კაუკას შევადარებდი. კლდიაშვილის გმირებიდან განსაკუთრებით მიყვარს “სამანიშვილის დედინაცვალის” ბოლო ეპიზოდი და ბეკინას და ელენეს ახლად დაბადებული “პირში”, რომელმაც არ იცის, რამხელა უბედურება მოუტანა მის გვარს.

მე-4 ბაგა-ბაღში მშობლების ზეიმი ვალდებულ ციცინო ფსიქიკის აზროვნება

შემოდგომის ზეიმი გაიმართა მე-4 ბაგა-ბაღში. პედაგოგ ციცილო ფესვიანის 3-4 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელებმა მშობლიურ სააღმზრდელო დაწესებულებაში ნამდვილი სამშობლოდ ფერები შემოიტანეს: სხვადასხვა სახის ჭირნახულით გალამაზებული და დახუნძული დარბაზი, წელიწადის ამ დროს თავისი დამახასიათებელი ხეებითა და ბარაქით კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა.

შემოდგომის ფერების შესადარი ჩაცმულობით გამოირჩეოდნენ 3-4 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელები. მუსიკის პედაგოგმა ზეინაბ ხარშილაძემ ბავშვებთან ერთად შეასრულა სიმღერა "რა, კარგია შემოდგომა". თანამედროვე მითხვენების შესაბამისად, სიმღერაში ყველა ბავშვი იღებდა მონაწილეობას.

სიმღერას ლექსები მოჰყვა. ამ შემთხვევაშიც შემოდგომის თემატიკა სჭარბობდა. ახალი მეთოდით მხატვრული კითხვაც ერთობლივად იყო წარმოდგენილი. მაყურებელთა შორის უმრავლესობა მე-4 ბაგა-ბაღის აღსაზრდელო მშობლები იყვნენ. ისინი აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ და მადლობას უხდოდნენ პედაგოგებს, რომლებმაც სულ მცირე მონაკვეთში შეძლეს მათი პატარების მომზადება.

ზეიმი კვლავ სიმღერებით და სხვადასხვა ჯგუფური ცეკვებით გაგრძელდა. იმღერეს "კომში, კომში, კომარა", პედაგოგებისა და მშობლების დახმარებით საკუთარი ხელებით ამოავლეს ჩურჩხელები და იქვე, სახელდახელოდ გამზადებულ ჯოხზე ჩამოიფეს. აღმზრდელმა გემრიელი ჩურჩხელები ზეიმის ყველა მონაწილე პატარას შეახვედრა.

ციცილო ფესვიანიძე, 3-4 წლიანთა ჯგუფის პედაგოგი: "შეიშინებ ბაგა-ბაღში შემოდგომის ზეიმს ჩვენმა ჯგუფმა დაულო სათავე. ამდენად, ძალიან ველავდით, გვინდოდა, კარგი ღონისძიება გამოგვევლინა. თუ სასურველ შედეგს მივაღწიეთ, ამაში პატარებთან ერთად ჩვენი ნანა გამგის უდიდესი დახმარებაა, რომელიც დაუღლებლად და უშურველად მონაწილეობს მე-4 ბაგა-ბაღის აღსაზრდელების სწორად აღზრდის საქმეში."

ინტერვიუ



ახალი საბავშვო ლექსები

ქართული საბავშვო წიგნის დღესთან დაკავშირებით, პატარებისთვის უკვე კარგად ნაცნობმა პოეტმა და პედაგოგმა ილია ლევკივიძემ ახალი ლექსები შესთავაზა პატარებს. საოცრად თბილი, უშუალო და სულში ჩამწვდომია თითოეული.

ვიმედოვნებთ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ინტერესით წაგიტოვებთ ბავშვები, მათი მშობლები წრფელი გულით ნაწერ ციცილა ლექსებს და სამადლობლოს არ დაიშურებენ პოეტისადმი, რომელიც მოძაგალმაც უძველესად გაახარებს მათ.

ილია ლევკივიძე

ალუბლები

ნიაგის ფრთხილ შეხებაზეც აკვანივით ირწვიან, ხელს იშვერენ, დამკრიფეთო, მოსაწევზე იწვიან. ალაგ ლოყაწითელია, ალაგ-ალაგ ქარვისფერი, აუვლიან-ჩაუვლიან ჩიტუნები ტოტებს ფრენით... გაიღვიძეთ, პატარებო, დროზე, თორემ ეშმაკ ჩიტებს ვერ მოვასწრებთ დაკრეფას ყელს ვერ ჩავიკოლოზინებთ.

მარის მშობარი ფისო

გამოეწო ჩემი ფისო, არ გეგონოთ, არის მთვრალი, შეგახედათ როგორ შვენის, რვალის ფარი და ჩაჩქანი. მარის ჩექმა მოირგო და წელზე შემოირტყა ხმალი, არც მეტი და არც ნაკლები, მურას დანადრნავი ძვალი. უღვაშები გაღვივინა, გაიმამაცურა თვალი, თავს უშველეთ, წრწუნებო, თორემ, ვაი, თქვენი ბრალი. გაკვირვებით შესცქერა, აქით მურა, იქით მარი, დღემდე არსად არ გვინახავს, ჩვენ ასეთი მეომარი.

გამოს დალოცვა

რა გინდ ეცადო, იცოდეთ, ვერ გავაცურებ, მელაო,

ბლის ტოტზე შემოვსკუბდებით დალი, ლალი და ლელაო... ბებო ამბობს: _ ღვთის ნებით ბავშვობიდან ვართ ყველაო, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მეც ვიყავ თქვენოდნაო. დღეს თქვენი დღეა, იფრინეთ, ჯვარი გწერთ ნენაო, ღმერთსა ვთხოვ, ყოვლისშემძლესა, მოგყაროთ ჩემი ხელაო.

კარგი ბიჭი მინდა გავხად

როცა მამა მეუბნება, ჩემი გულის გავლა ხარო, სულ მინდა, რომ მეც კაცურად მოვიქცე და გავახარო. მარტო მამა? _ დედაც მლოცავს, ჩამიხუტებს გულში როცა, სულ მის გვერდით მინდა ყოფნა, არასდროს რომ არ აქვს მოცლა. განა ზარმაც ბავშვებივით თამაშსა და ძილს უწვდები? დილით ადრეც მიტომ ვდგები, გავიკაჟო რომ კუნთები. კარგი ბიჭი მინდა გავხდე, ყველაფერში სასახელო, ჩემი ტკბილი დედული და მამულეთი ვასახელო.

შაშონავა მსუნავ ბიოს

ვაშლი, მსხალი, ატამი... ვერ გაკეთებ არჩევანს, რაგინდ მსურდეს, სხვის ბაღში უკითხავად არ შევალ. გიოს კი არა ვგავარ, უბეს რომ ამოივსებს, ასე უთხრა, ასიდან ერთსაც რომ არ მოისმენს. სულ იმაზე აქვს თვალი, ბაღი რომ მწიფს მუხობლის, განა არ შეუძლია, დარგოს თავის ენოში?!

ანამარია

უკვე დიდი ქალია განა საქმე დაღლის? შვლის ნუკრსა ჰგავს ხალიანს, როცა თვალებს დახრის. წინსაფარიც ამშვენებს, როგორც დასახლისს, ჯამ-ჭურჭელი დარეცხა, მიაღაგა სახლი. მთელი დღე საქმიანობს, წუთით მუხლს არ ჩახრის, ეს რა კარგი გოგაო, _ გაიძახის ხალხიც.

ართავალი ვილითავილი

"თენდებაო!" _ გავიგონე. ბაბუს უთხრა ბებია, ქალო, რა დროს ადგომაა, ჯერ არც ჩამძინებია. ადუ, ადუ, კაცო, ნუ ხარ უქნარა და ზარმაცი, ყანა თუ არ ითონებ, ზვარში მაინც გადადი. ნასეტყვარ ვაზს შველა უნდა, ღვინოს ძან მსუნავობ, ადუ, განა ზამთარია, დათვივით რომ ბუნავობ! მათ დავას და ლაპარაკში ვიპარებთ ფანჯრიდან, მზე ამოსვლას ეპირება მთვარე უკვე ჩავიდა. თუმც ბევრს ვერას გავუკეთებ, ჯერ ჩიტს ვგავარ ღაბუას, მაგრამ გვერდში რომ ვუდგავარ უხარია ბაბუას.

თოვლის არლონიანი

რალაც ცუდად იქუფრება ცაო, _ ამბობს ბაბუა... უსათუოდ გათოვდება! _ "ჩუო", ბებო, "არ თქუა..." შემახება უნდა კილო? ქვენა ისე უბერავს, უკვე ალვის ხეებამდე დაიწია ღრუბელმა. მე კი გულში ამ სიხარულს ვერ ვშალავ, თუმც, ვერც ვამხელ, ამ საკითხში მე და ბაბუ სულ არ ვგავართ ერთმანეთს. მშრალში უნდა შემოვხილოთ აკაციის ჯირკებიო, სანამ დაისაკუთრებენ ტანსლაპინა ჭინკებიო. მალე ბუხარს ტკაცატკუციით ალი აახმაურებს, ბაბუ ღვინოს რომ ჩამოგვამს, ბებო ჩემთვის წყალს ურევს. ჩვენს ქეიფებს მარტო ერთი, ბებია ჰგავს მოდავე. ბაბუ ენად იერიფება, ერთ-ორ ჭიქას რომ დაღევს. ჰყვება, ჭინკა ტყეში როგორ შემოუხტა ურემზე, ბებიას კი ელიძება, ტყუილს რომ გამოურევს. მე კი ბაბუს ყოველ სიტყვას ღრუბელივით ვისრუტავ, და კარგად ვგრძნობ, რომ ღვინოზე მეტად ქვეყნად ვინც უყვარს.

ილია ლევკივიძე

ჩანახატები

ნაფეხურები დაკარგე გზაზე, თურმე, შენგან არც წამოსულან, ჩემო დედულეთის ლამაზო ეზოე!..

დედის ნაოჭები ორმოში ჩავარდნილი სილამაზე კი არაა, ეს ჩვენა ვართ მისი სახიდან სილამაზეები ამოღებული და მშობლებიდან გაქცეულები...

წაიქცა ოდა ძველისძველი სტუმართმოყვარე, დიდი და ასჯერ დაქალებული. და ნანგრევებში მოყოლილი წინაპრის ფიქრი კენესოდა დარდად დაშავებული...

კი არ აყვავებულა ყველაფერი, უბრალოდ, ციდან უკეთესად რომ დაგვინახოს, მზეს უკეთით სათვალეებად...

ყოველ დილით დედის თვალეებში მოციმციმე მზადდება თაფლი, შეილების სახის ყვავილებიდან დანექტრილი...

შენი

ჭორფლიანი სახე ისეა, თითქოს წვიმა და პაწია თვალეების იებთან ერთად შენც რომ სველდები...

პრილა თოვლისა

იმპოტეპი


“კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში პირველი გენიოსი” – ასე უწოდეს ერთ-ერთ უდიდეს ძველ ეგვიპტელ ხელოვნებელს, სახელმწიფო მოხელეს, ქურუმს, ექიმს, პოეტსა და ფარაონ ჯოსერის უმაღლეს ვეზირს – იმპოტეპს (მოღვაწეობდა ჩვ.წ.აღ-მდე XXVII საუკუნეში). “ლეონარდო და ვინჩის წინამორბედად” წოდებული იმპოტეპი ეგვიპტეში რომ განუზომლად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ამანე უამრავი ფაქტი მეტყველებს. მისი განუყოფელი ნიჭი აღიარებული იქნა სიცოცხლეში და აღიარებულია დღემდე, ათასობით წლის გასვლის შემდეგაც კი. პირველი ეგვიპტური პირამიდის ავტორის შესახებ სხვადასხვა უძველესი ეგვიპტური ქანდაკებებზე შემდეგი სახის ჩანაწერებია დატოვებული: “ქვემო ეგვიპტის მეფის ხანაში დაიწყო”, “პირველი პირი ფარაონის შემდეგ”, “იუსუს უმაღლესი ქურუმი”, “მთავარი სკულპტორი”, “მთავარი ღურგალი” და ასე შემდეგ. ეგვიპტის ახალი სამეფოს ეპოქაში კი, ხალხმა იმპოტეპი სულაც კულტად აქცია და იგი მედიცინისა და მედიცინის მფარველ ღვთაებად სცნო, ცნობილია, რომ იმპოტეპის კულტის სიდიადემ აპოკავს

ბერძნულ-რომაული კულტურის აღორძინების ხანაში მიაღწია. იმ პერიოდში იმპოტეპის სახელზე გახსნილი ტაძრები, მათ შორის მის მშობლიურ ქალაქად მიჩნეულ მეფის-ში არსებული ტაძარი, სავსე იყო სხვადასხვა სენით შეპყრობილი ადამიანებით, რომლებიც გამუდმებულ ლოცვას ადავლენენ იმპოტეპის სახელზე, რათა ისინი გამოჯანმრთელებულიყვნენ (მეორე ვერსიით, იმპოტეპი თვებს სამხრეთში მდებარე სოფელ გებელინიში დაიბადა). მიუხედავად ინფორმაციის სიმცირისა, ცნობილია, რომ “კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში პირველი გენიოსი” მამა, სახელად კანოფრე, არქიტექტორი იყო. ცნობილია ისიც, რომ იმპოტეპი დაქორწინებული გახლდათ მდიდარ და გავლენიან ქალბატონზე – რინფრე-ნოფრეტზე და მოღვაწეობა მოუხდა ეგვიპტის ოთხი მმართველის ეპოქაში. მესამე დინასტიის ეგვიპტის ფარაონის ჯოსერის თანამედროვე პერიოდში ეგვიპტეში ქვისაგან ანაგები შენობა-ნაგებობები არ არსებობდა. სახლებს ძველი ეგვიპტელები თიხისაგან აგებდნენ, რომელთა შემდეგ მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეებით ხურავდნენ. სა-



სახლებსა და მასშტაბებს კი ისინი აგურით აგებდნენ. მასიური ქვისაგან აგებული პირველი პირამიდის აგების პატივი ჯოსერმა იმპოტეპს მიაგო და არც შემცდარა. გენიალური სახელი უკვდავყო, არამედ თავისი მბრძანებლისა, თუმცა იმპოტეპის გენია მართლ არქიტექტურით არ განიზომება, კერძოდ კი “უღვიძრ სმითის პაპირუსიდან” ირევევა, რომ იმპოტეპს მასში გამოყენებული აქვს 90-ზე მეტი ანატომიური ტერმინი და აღწერილი აქვს 48 სახის ტრავმა. ძალუძდა 200-მდე დაავადების განკურნება. გარდა ამისა, მემფისში სწორედ იმპოტეპმა ააგო პირველი სამედიცინო სკოლა. ნიშანდობლივია, რომ ამ მოვლენებს “მედიცინის მამად” წოდებული – ჰიპოკრატეს

დაბადებამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე ჰქონდა ადგილი. ბრიტანული ენციკლოპედია ასე ელიოსის პროტოტიპად ქცეული იმპოტეპის შესახებ გვამცნობს, რომ იგი ფრთხილ გავლენიან და დაფასებული პიროვნება იყო ძველ ეგვიპტეში. იგივე წყარო ირწმუნება, რომ მისი პრესტიჟი საუკუნეების გასვლასთან ერთად კი არ გამქრალა, არამედ პირიქით, ერთიორად გაიზარდა. ამის დასტურად კი ძველი პერიოდის ის ტაძრები მოჰყვას, რომლებიც ნამდვილ სამედიცინო ცენტრებად ქცეულან. საფურადღებოა ისიც, რომ იმპოტეპის მიერ დაწერილი “გამონათქვამები ეგვიპტური ფოლკლორის განვითარების პირველ საფეხურადაც.



სიბრძნით აღჭურვილი “ჯოსერის პირამიდის” არქიტექტორი “მამა”-ს ქურუმსაც წარმოადგენდა და “ურ-მამა”-ს ტიტულსაც ფლობდა, როგორც ტიტულს – უმაღლესი ქურუმისა. მესამე დინასტიის ბოლო ფარაონის – ჰუნის მმართველობის პერიოდში იმპოტეპი ხანდაზმულ ასაკში აღესრულა. ის, თუ სად დაკრძალეს იგი, დღემდე დაუდგენელია. იმპოტეპის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ისიც, რომ გავრცელებულია თითქოს იმპოტეპი სიკვდილის შემდეგაც კი ეხმარებოდა ადამიანებს.

Genia.Ge

თაფლის ისტორია

დღეისათვის სწავლულები უკვე დარწმუნებული არიან იმაში, რომ პირველყოფილმა ადამიანმა ველური ფუტკრების სკვებზე ნადირობა თაფლის გამო, ჯერ კიდევ კაცობრიობის განვითარების უძველეს კულტურულ-ისტორიულ პერიოდში – ქვის ხანაში დაიწყო. როგორც მეცნიერები ამბობენ, ადამიანს ამის უნარი მისი შორეული წინაპრიდან – უმაღლესი პრიმატებიდან გადაეცა. რაც შეეხება უტყუარად დადასტურებულ ფაქტს: ვალენსიის სიახლოვეს განთავსებულ არანის მღვიმეში (ესპანეთი) არქეოლოგებმა აღმოაჩინეს კლდეზე გამოსახული უნიკალური ნახატები (ზემოთ განთავსებული სურათი), რომლებზედაც ასახულია, თუ როგორ მოაპოვებენ ველური ფუტკრის გარემოცვაში მყოფი ადამიანები სკვებიდან თაფლს. რადიოკარბონული ანალიზის შედეგად სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ამ უნიკალური ნახატის ასაკი 7-8 ათას წლებს შორის მერყეობს. ფუტკრები და თაფლი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ჰყავდა მოქცეული ეგვიპტის ფარაონებს. გარდა ამისა, ამ უძველეს ქვეყანაში თაფლი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სიკვდილის რიტუალთანაც, რადგან მას ქურუმები ერთ-ერთ ინგრედიენტად მოიხმარდნენ ცხედრის მუმიფიცირების დროს. იმ პერიოდში ეგვიპტის ბაზარზე თაფლის შექმნა ძალიან ძვირი სიამოვნება იყო. ამიტომაც, ფარაონის ქვეყნის მდიდარი მოქალაქეები თაფლსა და ნექტარს ბაზარში ყიდულობდნენ, ხოლო ღარიბები კი იძულებული იყვნენ, ველურ ბუნებაში თავადვე მოეპოვებინათ იგი.

ფიქრად. მაგალითად, გენიალურმა ძველ ბერძენმა სწავლულმა – ქსენოფონტმა აღნიშნულ საკითხს შესანიშნავი ტრაქტატი მიუძღვნა. ეს იყო ინფორმაციულად ძალიან მდიდარი ნაშრომი, რომელიც დღემდე იმსახურებს დიდ ქებას. გარდა ქსენოფონტისა, ფუტკრის სამყაროს შესწავლით დაკავებული იყო ასევე – არისტოტელეც. თუკი ისტორიულ წყაროებს ვერწმუნებით, ამ უდიდეს მოაზროვნებს მოშიანაურებული ფუტკრების სკვებიც კი ჰქონია. თუმცა, არისტოტელეს სკვები დიდად განსხვავდებოდა თანამედროვე სკვებისაგან. ბერძნებმა პირველებმა გამოავლინეს საოცარი უნარი ველური ფუტკრების მოშიანაურებისა, რითაც საშუალოდ დაიჭვივდნენ ადგილი – “თაფლის ისტორიაში”. რომის სამართალი თაფლსა და ფუტკარს კანონის ძალით იცავდა. არავის ჰქონდა უფლება, მოეპარა, დაეზიანებინა ან გაენადგურებინა ვისიმე სკა. და მით უმეტეს, არ ჰქონდა უფლება, თაფლი და ფიჭი უნებართვოდ წაეღო. თუმცა, იყო ერთადერთი გამონაკლისიც, რომელსაც რომაული სამართალი უშუალოდ: ეს იყო პერიოდი, როდესაც მუშა ფუტკრები ტოვებდნენ თავიანთ ოჯახებს და ჰქმნიდნენ ახალ კოლონიას. ამ შემთხვევაში ფუტკრების ახალი კოლონია არავის საკუთრებად აღარ მიიჩნეოდა და ნებისმიერ მეფუტკრეს შეეძლო მისი დაუფლება. თაფლს რომაელები ხშირად გამოიყენებდნენ კერძების, სამედიცინო პრ-

ეპარატებისა და არომატული საშუალებების დასამზადებლად. მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ “მარადიული ქალაქის” ბაზარზე თაფლი

ბში თაფლი წარმატებასა და ჯანმრთელობასთან. ფუტკრებსა და თაფლს ჩინეთში იმთავითვე უდიდესი დანიშნულება



ძალიან ძვირი პროდუქტს წარმოადგენდა. რომის ისტორიაში ისეთი პერიოდიც ყოფილა, როცა თაფლს დამატებით ვალუტის ფუნქციაც უტარებია. თაფლის გარკვეული რაოდენობით შესაძლებელი იყო სამშენებლო მასალების, მონებისა და სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნა. ინდოეთში თაფლის მოხმარება 4-5 000 წლის წინათ დაიწყო, რასაც ძველი ინდური ვედების ტექსტები ადასტურებს. ინდოელები მიიჩნევენ, რომ თაფლი ღმერთის მიერ კაცთა მოდგმისათვის უანგაროდ ნაბოძები ყველაზე ფასეული და სასარგებლო საგანბურია იყო. ამიტომაც ასოცირდებოდა ინდოელთა ოჯახზე-

გააჩნდა. თაფლისაგან ჩინელი ფარმაკოლოგები ამზადებდნენ წამლებს, რის გამოც მან ფართოდ დაიჭვივრა ადგილი ძველ ჩინურ სახალხო მედიცინაში. მედიკოსები ამ უნიკალურ პროდუქტს ელენთისა და კუჭნაწლავის დაავადებების განსაკუთრებულ უებარ საშუალებად ასახელებდნენ და რეკომენდაციას უწევდნენ მას. ეგვიპტელი ფარაონების, რომაელი კეისრებისა და ჩინელი იმპერატორების მსგავსად, თაფლის სიყვარულით ააპონელი იმპერატორებიც გამოირჩეოდნენ. “ამომავალი მზის ქვეყანაში” თაფლი გამოიყენებოდა არა მხოლოდ კულინარიაში, არამ-

ედ მედიცინაშიც. იაპონიის კლიმატი არ ჰქმნის შესაფერის პირობებს ფუტკრების გამრავლებისა და თაფლის წარმოებისათვის, მაგრამ თავადვე “ფუტკარივით” მშრომელმა ხალხმა უდიდესი ძალისხმევით შედეგად მაინც განავითარა ქვეყანაში მეფუტკრეობის გასაოცარი, შეიძლება ითქვას, ზღაპრული დარგი. დღეს იაპონია მესამე ადგილზე იმყოფება მსოფლიოში თაფლის ექსპორტით. ფუტკარი და თაფლი ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ინდოელებშიც, რომლებიც ნექტარს ღვთაებრივი წარმომავლობის პროდუქტად მიიჩნევენ. ამიტომაც სწამდათ ინდოელებს თაფლის სასწაული ძალის. მკვლევართა დიდი ნაწილი ფუტკრისა და თაფლის სამშობლოდ აფრიკის კონტინენტს მიიჩნევს. ამის დასტურად კი მოჰყავთ ის გარემოება, რომ ფუტკრების პრველი სახეობა – მეთაფლია ფუტკრები პირველად აფრიკის კონტინენტზე გამოჩნდნენ. შუა საუკუნეების ევროპაში, სადაც თაფლის ფასი ოქროს ფასს უთანაბრდებოდა, ამ უნიკალური პროდუქტების წარმოების უფლებით მხოლოდ არისტოკრატია და ეკლესია სარგებლობდა. დროთა განმავლობაში მეფუტკრეობა ყველა მეფუტკრეობის მსურველისათვის გახდა ხელმისაწვდომი. თაფლი კი, ისევე როგორც უძველეს ეპოქაში, დღესაც ერთ-ერთ ძვირფას საკვებ პროდუქტად არის მიჩნეული. მასალა იბეჭდება Genia.ge-დან

სანთელი მიხეილ მელქაძის სსოვნას

1930 წელს სამტრედიის რაიონში დაიბადა. საშუალო სკოლის შემდეგ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. ბატონმა მიხეილმა შესანიშნავი შრომითი გზა განვლო. წარმატებული და მუყაითი გარჯისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ირჩევენ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან მიხეილ ცხოვრება ამ დარგის შემდგომ განვითარებას მოახმარა.



მის ცხოვრებაში განსაკუთრებული იყო წლები, როცა ის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, შემდეგ კი აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსად მუშაობდა. უნარიანი ხელმძღვანელი, კოლეგა და მეგობარი წლების მანძილზე არჩეული იყო რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში, ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში. ამჟამად მეტყველებენ მაღალი სამთავრობო ჯილდოები, მისი არქივის კუთვნილება რომაა დღეს.

დაუმსახურებლად დატოვეს უმუშევარი. გულმა ვერ გაუძლო უსამართლობას და 59 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა.

საზოგადოებამ, მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ ამ ღირსეული კაცის შესახებ.

ყოველივე წარმავალი წუთისოფელში, გარდა კაცური კაცის სახელისა.

გულისტკივილით ვიგონებთ კიდევ ერთ ღირსეულ სამტრედიელს, ბატონ მიხეილ მელქაძეს, რომლის სახელსაც არასოდეს მიეკარება ბინდი დავიწყებისა.

**სონანულო
გია გოჭორიძე**

იანეთის მე-4 უბანში მცხოვრები უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ვამაკიძეების ოჯახს, ბატონი **ნური ვამაკიძის** გარდაცვალების გამო.



გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს მარინე შენგელიას დედის **ლევან კახარავა-შენგელიას** გარდაცვალების გამო.

"საქართველოს რეინიგზის" დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია თანაუგრძნობს რუსუდან ჩიტას მეუღლის **აბოხანოვ ოზიანის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს დამწუხრებულ ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს მაია ვალერი თევზაძეებს, ძმისა და ცოლისძმის **იური აბურჯანიძის** გარდაცვალების გამო.

ლენა ხაშალია

მე-11 საჯარო სკოლა დღეს მგლოვიარე ჭირისუფალია, ჭირისუფალია ქალბატონისა, ვისი სახელის შარავანდედიც დიდხანს განაბრწინებს ამ დიდი ტრადიციების სკოლას – ასე ღირსეულად და თავგანწირულად რომ ემსახურა მას ქალბატონი ლენა ხაშალია... ასეთი ადამიანები ეპოქას ქმნიან, სასკოლო განათლების თვითმყოფად სტილსა და მიმართულებას, შემოაქვთ და აკვიდრებენ ახლებურ მიდგომებს, თავიანთი ინტელექტითა და თავისუფლების შეგნებით რეფორმატორები არიან – თქვენ ეს ყველაფერი შექმლით, ლენა მასწავლებლო: 14 წლის განმავლობაში დაამსხვრით ავტორიტარი დირექტორის სტერეოტიპი, გვასწავლეთ და აღზარდეთ ჩვენში სკოლის, ქვეყნის, ოჯახის მსახურების, თავდადების სურვილი, თავად გვაძლევდით საუკეთესო მაგალითს და საზოგადოებაში დაამკვიდრეთ აზრი, რომ 21-ე საუკუნის სახელოვანი და წარმატებული სკოლა – ეს ერთსულოვანი გუნდია, რომელსაც თანამედროვე თქვენაირი ხელმძღვანელი ჰყავს... თქვენი ადამიანური ხიბლით, ქალური მშვენიერებითა და დედობრივი სასწაულით გვარწმუნებდით, რომ სიყვარულს არ შურს, არ ამპარტავნებს, არ მრისხანებს... გვწვრთნიდით, რომ ბავშვიო სიცოცხლის ყველაზე სათუთი მონაპოვარია, მას ხელის გულზე უნდა ვატარებდეთ და რომ სასუფეველის ბაგეებით მოლაპარაკე ეს სასწაული ყოველთვის მართალია... ამიტომაც მოგტირან ასე გულამოძგადანი, ასეთი გულისწყვეტით, სწორედ მათი უმანკო და ალალი ცრემლი გაგინათებთ სასუფეველის მარადიული სიცოცხლისაკენ მიმავალ გზას!... სიკვდილის აბსურდულობა და მასთან ბრძოლაც თქვენგან ვისწავლეთ, თქვენ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, ჩვენი დროის ოთარანთ ქერივმა, მამის სიკვდილის საშინელება გაუქარწყლეთ თქვენს დაობლებულ შვილებს, დაარწმუნეთ ისინი, რომ სიცოცხლე სიყვარულის ერთი გზა – ღირსეულად გასავლელი წუთისოფლიდან ზემთასოფლამდე, ქრისტიანულად წარმართულ სიცოცხლესთან კი სიკვდილის მითი იმსხვერვა და სხვა ყველაფერი ცხოვრებისეული ფუსფუსი და ორომტრიალი ამაოა და ფუჭი... ქალბატონო ლენა, საყვარელო და ძვირფასო ადამიანო, ღვთის ნიჭიერ და დიდსულოვანო, თქვენი უკვე სიკვდილის საბრწონედ დადეთ თქვენი მაღლი და კეთილი საქმენი, ამიტომაც გვჯერა, უფალთან, მართალთა შორის განისვენებს თქვენი უდრეკი სული... გმადლობთ, რომ თქვენი თანამედროვე გეგვია, გმადლობთ, რომ მარადიული სიყვარულით დაპურებულნი დაგვტოვეთ! გჯეროდეთ, თქვენი ყოველი მაღლის მარცვალი კეთილ ხნულში ჩავარდა და იჯეჯილებს... მოგვიტყვეთ, რაიცა შეგცოდეთ და მოგვიხსენეთ უფალთან, ჩვენო კეთილშობილო და უღამაზესო ქალბატონო...



მე-11 საჯარო სკოლის ადმინისტრაციის და კლასობრივი კოლეგების

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება №11 საჯარო სკოლის დირექტორის, ქალბატონი ლენა ხაშალია-აბურჯანიძის გარდაცვალებას. ქალბატონი ლენა განათლების სისტემის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, საუკეთესო ლიდერი და მენეჯერი, პროფესიონალი პედაგოგი, ერთგული მეგობარი. თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია ჩვენი ქალაქისათვის, №11 საჯარო სკოლისთვის და კოლეგებისთვის. მშვიდად განისვენეთ ჩვენო ძვირფასო ქალბატონო ლენა. ცათა სასუფეველი დაუკვიდროს ღმერთმა თქვენს სპეტაკ სულს. მწუხარებით ეუსამძიმრებთ ოჯახს.

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

უდიდესი გულისტკივილით ვეთხოვებით შესანიშნავ ქალბატონს, ბრწინვალე და ღირსეულ ადამიანს, მეოთრთმეტე საჯარო სკოლის დირექტორს, ლენა ხაშალიას. ქალბატონი ლენა წლების განმავლობაში ღირსეულად ასრულებდა უდიდეს მისიას – აღეზარდა ახალი თაობები ეროვნულ და კულტურულ ფასეულობებთან ზიარებით. ის წარმატებული სკოლის წარმატებული დირექტორი იყო. ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სპეტაკი სული!

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორები

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მე-11 საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ლენა ხაშალია** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ბეჟან გოგია ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს, ქალბატონი **ლენა ხაშალიას** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მე-11 საჯარო სკოლის პირველი მეოთხე კლასის დამრიგებელი ჟანა კუბლაშვილი, მოსწავლეები და მშობლები გულისტკივილით იუწყებიან საყვარელი დირექტორის, ქალბატონი **ლენა ხაშალიას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ დამწუხრებულ ოჯახს.

მე-11 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი მაია ფრანგიშვილი და მოსწავლეთა მშობლები გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ლენა ხაშალია** და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ხმა ვის მივცე?



IPUTNIK-GEORGIA.COM



რეგისტრაცია საჩუქრები დასაქმება

Faberlic Samtredia Nana
nanagab7@gmail.com
+995 577 425 552
+995 593 310 595

23

სამტრედიაში რუსთაველის ქუჩის №23/2 გაიხსნა კომპანია "ფაბერლიკის" ოფისი. კომპანია გთავაზობთ, მსოფლიოში ცნობილი ჟანგბადის კოსმეტიკას. ასევე, დასაქმებას.

ოფისი მუშაობს ყოველდღე 10 საათიდან 17.00 საათამდე. ტელეფონი: 577 42 55 52.

სტუდია "ბერმუხა" გთავაზობთ!

პირველად სამტრედიაში, ქორწილების, საზეიმო ღონისძიებების გადაღებას FUL HD-1920X1080 ფორმატში. პირდაპირი ტრანსლაცია (ლაივი), FACEBOOK, YOUTUBE-ზე, დარბაზის მონიტორზე. ჩაწერა ფლემუკაზე და BLU-RAY დისკზე 50 წლიანი გარანტიით.

საკონტაქტო ტელ: 598 78 66 00; 555 18 84 80; 22 40 42.

მადლობა!

ჩემი და ჩემი ოჯახის სახელით, პროფესიონალიზმს დართული გულისხმიერებისთვის მადლობას ვუხდით შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის პოლიციის რაიონული განყოფილების უფროს ინსპექტორს ლაშა ბუაძეს, უბნის ინსპექტორ-გამომძიებელს ლევან ტორონჯაძეს, უბნის ინსპექტორ-გამომძიებელს ვეფხია თედორაძეს და უბნის ინსპექტორ-გამომძიებელს მარინა მაჭარაძეს.

თბა. ბაბუნაშვილი

გარეული სამხრეთ აფრიკული ფიკუსი

ბოტანიკოსთა მიერ მოპოვებულ მონაცემებს თუ გავეცნობით, დავადგენთ, რომ ჩვენს პლანეტაზე არსებულ ყველა გვარის მცენარეთა შორის მიწაში ყველაზე ღრმად ფესვების გადგმის უნარით "გარეულ ლეღვად" წოდებული თუთისებრთა ოჯახის წარმომადგენელი მცენარე – გარეული სამხრეთაფრიკული ფიკუსი გამოირჩევა. ამის დასტურია სამხრეთ აფრიკაში, კერძოდ კი, ოხრისტადის სახლობის არსებულ მღვიმეებთან მზარდი "გარეული სამხრეთაფრიკული ფიკუსის" ერთ-ერთი ეგზემპლარი, რომლის ფესვები მიწაში 122 მეტრ სიღრმემდეა გადგმული. ნიშანდობლივია ის გარემოც, რომ სწორედ ზემოაღნიშნული მცენარე მიიჩნევა მიწაში ყველაზე ღრმად ფესვგადგმულ მცენარედაც დღემდე.



Genia.ge

ვულოცავთ!

ბატონ თინათინ ჩხეიძეს!
დაბადების დღეს გილოცავთ უდიდესი პატივისცემით, იხარეთ და იღლეგრძელეთ, საყვარელ ოჯახთან ერთად.

უფალმა გაგაძლიეროთ!
უახლოესი მეგობრები



რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რუსთაველის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე

დირექტორი ბექან გოგია

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაღიძე
გამომშვები რედაქტორი თბა. ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე